



გეოგრაფია

მოსწავლის წიგნი





AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin,*
sözləri *Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!

Minlərlə can qurban oldu,
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



კამილარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის სამართო ეროვნული ლიდერი

Levin & Quine

ფამილ ალექპეროვი
ნარმინა სეიფულაევა
ელენა შაბანოვა

გეოგრაფია

გეოგრაფიის საგნის სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-6 კლასისთვის (II ნაწილი)


©Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyi



Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0International (CC BY-NC-SA 4.0)

Bu nəşr Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International lisenziyası (CC BY-NC-SA 4.0) ilə www.trims.edu.az saytında əlçatandır. Bu nəşrin məzmunundan istifadə edərkən sözügedən lisenziyanın şərtlərini qəbul etmiş olursunuz:

İstinad zamanı nəşrin müəllif(lər)inin adı göstərilməlidir. 


Nəşrdən kommersiya məqsədilə istifadə qadağandır. 

Tərəmə nəşrlər orijinal nəşrin lisenziya şərtlərilə yayılmalıdır. 

ამ გამოცემასთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: trm@artl.edu.az და derslik@edu.gov.az წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!

6

ნაწილი II



თავი 5	5	მა გუნებას შევიცნოვ	5
		5.1. მრავალფეროვნება ბუნებაში	6
		• დედამიწის ბუნება	8
		• რა კომპონენტები არსებობს ბუნებაში?	10
		• ბუნებრივი კომპონენტები სხვადასხვაგვარ ლანდშაფტს ქმნის	14
		• შეფასება	15
		5.2. ბუნება სისტემაა	16
		• ბუნებრივი სისტემის ფორმირება	18
		• ფოტოსინთეზის გეოგრაფია	20
		• მანგრის ტყეები – ლოკალური ბუნებრივი სისტემა	22
	• შეფასება	23	
	განმაზოგადებელი დავალებები	24	

თავი 6	6	მომზაურობა ჩვენი ქვეყნის ბუნებაში	25
		6.1. გავეცნოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებას	26
		• ჩვენი ბუნების სიმდიდრე	28
		• აზერბაიჯანის ბუნების ფორმირება	30
		• რატომ შეიქმნა შირვანის ნაკრძალი?	32
		• შეფასება	33
		განმაზოგადებელი დავალებები	34

თავი 7	7	ჩვენი სახლი	35
		7.1. დედამიწის სოციალური იერსახე	36
		• რა არის სოციალური ცხოვრება?	38
		• ინდივიდები – სოციალური ცხოვრების საფუძველი	40
		• ოჯახი – პატარა სახელმწიფო	42
		• საზოგადოება – სოციალური ცხოვრების არსებითი ნაწილი	44
		• სახელმწიფო – საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია	46
		• ნოვრუზის აღნიშვნა	48
		• შეფასება	49
		7.2. ორგანიზაციების როლი საზოგადოების განვითარებაში	50
		• სოციალური ცხოვრება და სამუშაო გარემო	52
		• არასამთავრობო ორგანიზაციები	54
		• კომპანიების როლი სოციალურ ცხოვრებაში	56
		• შეფასება	57
		7.3. ლოკალური და გლობალური კავშირები	58
		• მოქალაქეთა მოვალეობები	60
		• ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა	62
		• მართლა დიდია მსოფლიო?	64
	• აზერბაიჯანის ურთიერთობა მსოფლიოს ქვეყნებთან	66	
	• შეფასება	67	
	განმაზოგადებელი დავალებები	68	

თავი

5

მე გუნებას შევიცნო

როგორ აღწერდით ბუნებას თქვენ ირგვლივ?



კობრები საკვებს წყლის ზედაპირზე მოიპოვებენ. ზოგჯერ წყალსატევში შეგვიძლია დავინახოთ, როგორ ხტებიან ეს თევზები წყლიდან. კობრებს 4 მეტრის სიმაღლემდეც კი შეუძლიათ ახტომა. ამ წყალსატევების თავზე, ჩვეულებრივ, უამრავი ფრინველი დაფრინავს. წყლიდან ამოხტომისას ეს თევზები ხშირად ფრინველების ნადავლი ხდებიან. ეს უჩვეულო მოვლენა ამერიკის სანაპიროებთან ბოლო წლებში დიდ ინტერესს იწვევს. ფოტომოყვარულები ასეთი კადრების გადაღებას ეშურებიან. მაგრამ ჩინეთის აღმოსავლეთში მეთევზეები ამას ნადირობის მიზნით იყენებენ. როცა მეთევზეები ან სხვა ადამიანები ამ ადგილს უახლოვდებიან, კობრები რეაგირებენ.

- რა მიზეზით ხტებიან კობრები წყლიდან?
- შესწრებიხართ მსგავს მოვლენას?
- ბუნების რა კომპონენტებს ხედავთ სურათზე?
- რა კავშირია ამ კომპონენტებს შორის?
- რა მნიშვნელობა აქვთ სურათზე გამოსახულ კომპონენტებს ჩვენი პლანეტისთვის?

გაჯეითი დაწყებამდე

თურქეთი არის ქვეყანა, რომლის ბუნება მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს მის მდებარეობას უკავშირდება. ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის ხიდის როლს ასრულებს და ოთხი ზღვითაა გარშემორტყმული. ტერიტორია, უპირატესად, მთიანია.



თურქეთის ხედი თანამგზავრიდან

ტემპერატურის მატებასთან ერთად ტბაში წყლის რაოდენობა მცირდება. ამ დროს წყალში მარილის რაოდენობა იზრდება და ტბა ვარდისფრად იფერება. ზამთარში წყლის დონე ტბაში მატულობს. წყლის მარილიანობის შემცირება მის შეფერილობაშიც აისახება – ის თანდათანობით მოცისფრო ხდება. თუზის ტბაში თევზი არ არის. მაგრამ აქ არსებული მიკროორგანიზმები იზიდავს ფრინველებს, განსაკუთრებით – ფლამინგოს. თუზის ტბა ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც ფლამინგოები ბარტყებს ჩეკენ.



თუზის ტბა

თუზის ტბა ბუნებრივ ქვაბულში მდებარეობს. ამ ტბაში, რომლის სიღრმე 5 მეტრია, ორი პატარა მდინარე ჩაედინება. მაგრამ ტბიდან არც ერთი მდინარე არ იღებს სათავეს. ამ ტერიტორიაზე მთელი წლის განმავლობაში უმნიშვნელო რაოდენობის ნალექი მოდის და ისიც – უპირატესად, ზამთარში. ჰაერის ძალზე მაღალი ტემპერატურა ტბის ზედაპირიდან ძლიერ აორთქლებს ინვევს.



საქმიანობა

- 1 A სურათის მიხედვით, როგორ აღწერდით ადგილს, სადაც თუზის ტბა მდებარეობს?
- 2 შეადარეთ ერთმანეთს თუზის ტბის გამოსახულება B და C სურათებზე. რა ფერისაა ტბა ამ გამოსახულებებზე?
- 3 როგორ ფიქრობთ, რატომ ჩანს C სურათზე ფლამინგო, B სურათზე კი არა?
- 4 რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ თუზის ტბის წყალი მარილიანია?
- 5 რატომ იცვლება თუზის ტბის ფერი?



ტერიტორია, რომელზედაც თუზის ტბა მდებარეობს, გვალვიანია. ბოლო წლებში ტბა სწრაფად შრება. ამის მიზეზად სპეციალისტებს ტბაში ჩამდინარე ორი მდინარის სარწყავად გამოყენება მიაჩნიათ. განსაკუთრებით ზაფხულობითაა თვალსაჩინო ტბის ზედაპირის მარილის ფენით დაფარვა. აორთქლების შედეგად ყოველწლიურად გაჩენილი მარილის ახალ-ახალი ფენა იმის გარანტიას, რომ ეს სიმდიდრე არასოდეს ამოიწურება.

თუზის ტბის რუკასქემა

ტბის ზედაპირზე 30 სმ სისქის მარილის ფენა წარმოიქმნება. ძლიერი ქარები ფანტავს მარილს. ტბის ირგვლივ მლაშობები ჩნდება. ეს მიწები დასამუშავებლად არ ვარგა. ასეთ მიწაზე არაფერი ხარობს.

თუზის ტბის გარშემო მარილის სამი მსხვილი შახტა მდებარეობს. ამ შახტებში ხდება მარილის შეგროვება, გასუფთავება და დაფასოება. სწორედ ეს შახტები აკმაყოფილებს დიდწილად ქვეყანაში მარილზე მოთხოვნას.




თუზის ტბის ნაპირები



მარილის მოპოვება თუზის ტბაზე

- 6 შეადარეთ ერთმანეთს D სურათზე წარმოდგენილი 1-ლი და მე-2 რუკასქემა. იმსჯელეთ ტბის ფსკერის რელიეფის შესახებ წყლის დონის კლების მიმართულებით.
- 7 რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ტბაში ჩამავალი მდინარეების გამოყენების აკრძალვას?
- 8 E სურათისა და ტექსტის მიხედვით გააანალიზეთ ნიადაგების დამლაშების შედეგები.
- 9 F სურათისა და ტექსტის მიხედვით ახსენით, რატომ შეუძლია თუზის ტბას ქვეყანაში მარილზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი წილის დაკმაყოფილება.
- 10 როგორაა ნაჩვენები D სურათზე ტერიტორია, რომელიც E სურათზეა გამოსახული?




მსხვილი მასშტაბით ბუნება მთელ დედამინას მოიცავს, ლოკალური მასშტაბით კი – გარემომცველ გარემოს. რელიეფი, მთის ქანები, კლიმატი, წყალი, ნიადაგი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო ბუნებრივი კომპონენტებია. ბუნების სხვადასხვა კომპონენტი – მთები, ვაკეები, ჰაერი, მდინარეები, ტბები, ტყეები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო – ერთმანეთთან მჭიდროდა დაკავშირებული.

დედამინის ზედა მყარ ფენას **ლითოსფერო** ეწოდება. მთები, ვაკეები, ღრმულები, მთის ქანები ლითოსფერის ბუნებრივი კომპონენტებია. სასარგებლო წიაღისეულს, რომელსაც ადამიანები იყენებენ, ლითოსფეროში მოიპოვებენ. აქ ხდება მინისძვრები და ვულკანების ამოფრქვევა.

საქმიანობა

- 1 სურათის მიხედვით აღწერეთ ლითოსფერო.
- 2 რა კომპონენტებისგან შედგება ლითოსფერო?
- 3 რა დანიშნულება აქვს ლითოსფეროს ბუნებაში?
- 4 ტექსტის საფუძველზე ახსენით ატმოსფეროს მნიშვნელობა.
- 5 ატმოსფერო რომ არ არსებობდეს, რა მოხდებოდა დედამინის ზედაპირზე?
- 6 ამინდის რა მოვლენები მიმდინარეობს ატმოსფეროში?



ჰაერს, რომელიც გარს აკრავს პლანეტა დედამიწას, **ატმოსფერო** ეწოდება. ატმოსფერო შთანთქავს დედამიწაზე მზისგან გამოსხივებული ენერჯის ნაწილს და დედამიწაზე კეთილსასურველ ამინდს ქმნის. ამავე დროს ატმოსფერო ხელს უშლის კოსმოსიდან დედამიწაზე მეტეორიტების ჩამოცვენას. ატმოსფერო რამდენიმე ფენად იყოფა. ქარი, ღრუბლები, ატმოსფერული ნალექები ატმოსფეროს ქვედა ფენაში – ტროპოსფეროში – წარმოიშობა.

დედამიწის ნაწილს, რომელშიც ცოცხალი ორგანიზმები ბინადრობენ, **ბიოსფერო** ეწოდება. მცენარეები, ცხოველები, თვალთ უხილავი მიკროორგანიზმები ბიოსფეროს შემადგენელი ნაწილებია. ბიოსფერო გარსია, რომელშიც ერთმანეთს ეხება ატმოსფერო, ლითოსფერო და ჰიდროსფერო.

დედამიწის ნაწილს, რომელიც წყლითაა დაფარული, **ჰიდროსფერო** ჰქვია. ჰიდროსფერო მოიცავს ოკეანეებს, ზღვებს, ყურეებს, მდინარეებს, ტბებს, მყინვარებს, ჭაობებს. წყლის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს.

- 7 სურათის მიხედვით აღწერეთ ჰიდროსფერო.
- 8 რა კომპონენტებისგან შედგება ჰიდროსფერო?
- 9 როგორ წარმოგიდგენიათ დედამიწა ჰიდროსფეროს გარეშე?
- 10 ძირითადად, რა განასხვავებს ბიოსფეროს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროსაგან?
- 11 ცხრილის მიხედვით დააჯგუფეთ კომპონენტები:

1. ფრინველები	2. მთა	3. მდინარე	4. ადამიანი	5. ქარი
6. ღრმული	7. ტემპერატურა	8. ოკეანე	9. მცენარე	10. ტბა

ლითოსფერო	ატმოსფერო	ჰიდროსფერო	ბიოსფერო



რელიეფის მრავალფეროვნება

რელიეფის ფორმები მთის ქანებისგან შედგება. მთის ქანების შემადგენლობაში გვხვდება რკინა, ოქრო, სპილენძი, ვერცხლი, ალმასი. რელიეფის მრავალფეროვნება მთის ქანების სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, რბილი ქანები ვაკეებზე გვხვდება, მკვრივი კი – მთიან ადგილებში. ქარის, წყლისა და ყინულის ზეგავლენით მთის ქანები იშლება, იფხვნება და გარშემო იფანტება.



მთის ქანების კვლევა

ლიტოსფერო

დედამიწის ზედაპირი მთების, ვაკეების, გორაკების, ღრმულებისა და სხვა ფორმებისგან შედგება. დედამიწის ზედაპირის ყველა ამ უსწორმასწორობის ერთობლიობას **რელიეფი** ჰქვია. ეს უსწორმასწორობები რელიეფის ფორმებია. რელიეფი ლითოსფეროში მიმდინარე პროცესების – მინისძვრების, ვულკანების ამოფრქვევის და ა.შ. – შედეგად ყალიბდება. მის ფორმირებაზე ასევე მოქმედებს ქარი, წვიმა, წყლები და მყინვარები.


ნიადაგი დედამიწის ზედა ნაყოფიერი ფენაა. ნიადაგი წარმოიქმნება მცენარეებისა და ცხოველების დაშლილი ნაშთების დაქუცმაცებულ ქანებთან შერევის შედეგად. ნიადაგები წარმოიქმნება ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ბიოსფეროს ურთიერთქმედების შედეგად.



ნიადაგის ნიმუში


საქმიანობა

- 1 A სურათის მიხედვით, რა შეიძლება ითქვას ლითოსფეროს შესახებ?
- 2 რა აკავშირებს ერთმანეთთან A და B სურათებს?
- 3 როგორ ახსნით სხვადასხვა ფერს B სურათზე?
- 4 რა აკავშირებს ერთმანეთთან B და C სურათებს?
- 5 შეუძლია თუ არა ლითოსფეროსა და მთის ქანებს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ბიოსფეროს გარეშე არსებობა? პასუხი დაასაბუთეთ.



ტემპერატურის განაწილება დედამიწაზე

ქარი ჰაერის ჰორიზონტალური მოძრაობაა ატმოსფეროს ქვედა ფენებში. ტემპერატურათა სხვაობა დედამიწის ზედაპირზე გარკვეულ გავლენას ახდენს ჰაერის მოძრაობაზე.



ქარის მიმართულების მაჩვენებელი

ატმოსფერო

ჰაერის ტემპერატურა მზის ენერჯის ხარჯზე ყალიბდება. იგი ეკვატორიდან პოლუსებისკენ იცვლება. ჰაერის ტემპერატურა იცვლება ასევე წლისა და დღე-ღამის განმავლობაში. მასზე გავლენას ადგილის რელიეფიც ახდენს: იმ ადგილებში, რომლებიც დიდი სიმაღლეზე მდებარეობს, ტემპერატურა დაბალია.


ტენიანობას

ჰაერში არსებული წყლის ორთქლი ქმნის. როდესაც წყლის ორთქლი ჰაერში დიდი რაოდენობითაა, ის ნალექების – წვიმის, თოვლის, სეტყვის – სახით მოდის დედამიწაზე. ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მცენარეული სამყარო ცხელ და ტენიან რაიონებში უფრო მდიდარია. ტენის ნაკლებობა ნებისმიერ ტერიტორიაზე იქაური ფლორისა და ფაუნის სიმწირის ძირითადი მიზეზია.



ტენიანობის განაწილება

- 6 დაადგინეთ შესაბამისობა a და b სურათებსა და E სურათზე ქარის მიმართულების მაჩვენებლის 1-ელ და მე-2 მდგომარეობებს შორის.
- 7 D რუკის თანახმად, რომელ კონტინენტებზე არ არსებობს ცივი ოლქები?
- 8 D რუკის თანახმად, დააჯგუფეთ ცხრილში რუკასქემაზე მითითებული პუნქტები.



ცხელი	ზომიერი	ცივი



ოკეანეები – ეს არის უზარმაზარი, ერთმანეთთან დაკავშირებული წყლის აუზები, რომლებიც გარს აკრავს ხმელეთის ნაწილებს დედამიწაზე. ზღვები, ყურეები და სრუტეები ოკეანის შემადგენელი ნაწილებია. ოკეანის წყალი მლაშეა.



A

ოკეანეები


ტბები – ჩაკეტილი წყლის აუზებია, რომელთაც ოკეანისა და ზღვისკენ გასავალი არ აქვთ. ატმოსფერული ნალექებით, წყაროებითა და მდინარის წყლით მკვებავი ტბები როგორც მთიან, ისე ვაკე რაიონებში წარმოიშობა. ტბის წყალი მტკნარიც შეიძლება იყოს და მლაშეც. თუ ტბიდან რომელიმე მდინარე იღებს სათავეს, ასეთი ტბის წყალი მტკნარია, მაგრამ თუ ტბა გაუმდინარია, მისი წყალი მარილიანია.



C

ტბა

მდინარეები ერთმანეთთან აკავშირებს ატმოსფეროს, ლითოსფეროსა და ჰიდროსფეროს. მდინარეები სათავეს ამაღლებული ტერიტორიებიდან იღებს და ოკეანეებში, ზღვებში ან ტბებში ჩაედინება. წყლის დონე მდინარეებში, რომლებიც წვიმის, თოვლის, მყინვარებისა და გრუნტის წყლებით იკვებება, წლის განმავლობაში იცვლება.



B

მყინვარები

მყინვარები – ხმელეთზე ან წყლის აუზში წყლის გაყინვის შედეგად წარმოიქმნება. დედამიწაზე ისინი პოლარულ რეგიონებსა და მაღალი მთების მწვერვალებზე გვხვდება.




D


მყინვარები

საქმიანობა

- 1 A სურათის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ ოკეანეებს არ აქვთ ერთმანეთთან პირდაპირი კავშირი.
- 2 A სურათის მიხედვით განსაზღვრეთ კონტინენტები, რომლებიც რომელიმე ოკეანითაა გარშემორტყმული.
- 3 შეგიძლიათ თუ არა, B სურათის მიხედვით განსაზღვროთ, რა კავშირია ატმოსფეროს, ლითოსფეროსა და ბიოსფეროს შორის?
- 4 შეადარეთ ერთმანეთს B და C სურათებზე აღბეჭდილი წყლის აუზები.
- 5 შეადარეთ ერთმანეთს D სურათზე მოცემული 1-ლი და მე-2 გამოსახულებები.



მიკროორგანიზმები – ის ცოცხალი ორგანიზმებია, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. მათ ბაქტერიები, მიკროსკოპული სოკოები და წყალმცენარეები მიეკუთვნება. მიკროორგანიზმები მონაწილეობენ დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობაში, მკვდარი ორგანიზმების გახრწნასა და ნიადაგთან მათ შერევაში, ასევე, სხვა ცოცხალი არსებების კვებაში.



მიკროორგანიზმები მიკროსკოპში

მცენარეები – ბუნების ცოცხალი კომპონენტებია. მათი დედამიწაზე გავრცელება რელიეფსა და ამინდის პირობებზეა დამოკიდებული. მცენარეები ვერ განვითარდება მზის სინათლის, წყლისა და ნიადაგის გარეშე.

მცენარეული სამყაროს მრავალფეროვნება

ცხოველთა სამყარო – ასევე ბუნების ცოცხალი კომპონენტია. მათი გავრცელება, მცენარეთა მსგავსად, ბუნების სხვა კომპონენტებზეა დამოკიდებული.



კენგურუ

- 6 E სურათის მიხედვით ახსენით, რატომაა მცენარეები განსხვავებული.
- 7 რა მაგალითები შეგიძლიათ მოიყვანოთ ბუნებაში იმ მიკროორგანიზმების როლის შესახებ, რომლებიც F სურათზეა გამოსახული?
- 8 რა იცით G სურათზე აღბეჭდილი ცხოველის შესახებ? რომელ კონტინენტზე ბინადრობს იგი?
- 9 ცხრილის შესაბამისად დაწერეთ ბუნების კომპონენტების მაგალითები.


ცოცხალი	არაცოცხალი

პროექტი

* შეაგროვეთ ნიადაგის, მთის ქანის ან მცენარის ერთ-ერთი ნიმუშის კოლექცია და მოამზადეთ პრეზენტაცია მათი თავისებურებების შესახებ.

სამხრეთ ამერიკაში მდებარე ამაზონის ტყეებს „პლანეტის ფილტვებს“ უწოდებენ. ამ ტყეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ატმოსფეროს ჟანგბადით უზრუნველყოფაში. აქ ხშირია ტყეებმა ჯუნგლები შექმნა. აქაური ცხოველთა სამყარო სახეობათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გამოირჩევა. წყალუხვი მდინარე ამაზონი ტყეების ცენტრალურ ნაწილში გაედინება. მდინარის ნაპირებსა და ვაკეებზე ჭაობებია გადაჭიმული, ხოლო ქვაბულებში – ტბები.

აფრიკაში მდებარე საჰარის უდაბნო მსოფლიოში ყველაზე დიდია. აქ მცენარეები და ცხოველები ბევრი არ არის. საჰარა უპირატესად ქვიშით დაფარული უწყლო ტერიტორიაა. აქ დღისა და ღამის ტემპერატურათა შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ამის გამო მთის ქანები წვრილ ნაწილაკებად იშლება. მცენარეულობა სიცხისა და გვალვისადმი მდგრადია. საჰარაში ძლიერი ქარები იცის. ამ დროს წარმოქმნილ ქვიშის გრიგალებს ქვიშის ნაწილაკები ათასობით კილომეტრზე გადააქვს.



A



B

ამაზონის ტყეები



საჰარის უდაბნო

საქმიანობა

- 1 რა შეგიძლიათ, თქვით A სურათზე გამოსახული ტერიტორიის ბუნების შესახებ?
- 2 რა შეგიძლიათ, თქვით B სურათზე გამოსახული ტერიტორიის ბუნების შესახებ?
- 3 რას უკავშირდება ამაზონიაში ჯუნგლების წარმოშობა?
- 4 გაანალიზეთ ცხრილში A და B სურათებზე გამოსახული ტერიტორიების ბუნებასთან დაკავშირებული თავისებურებები.

თავისებურებები	ამაზონის ტყეები	საჰარის უდაბნო
1. ჰაერის ტემპერატურა მაღალია.		
2. წყლის ნაკლებობაა.		
3. წლის განმავლობაში წვიმა იშვიათად მოდის.		
4. მცენარეები გვალვისადმი მდგრადია.		
5. მდიდარი ფლორა და ფაუნაა.		
6. ჭარბობს ღრუბლიანი ამინდი.		
7. ადამიანის ცხოვრებისთვის უვარგისია.		

შეფასება



1 სურათების ნომრები ცხრილის შესაბამის უჯრებში ჩანერეთ.

უდაბნო	ჯუნგლები	მყინვარი	ტუნდრა	სტეპი	სავანა	მთიანი რაიონი	სუბტროპიკული ტყეები	წინვოვანი ტყეები	ფართო-ფოთლოვანი ტყეები
--------	----------	----------	--------	-------	--------	---------------	---------------------	------------------	------------------------

2 რუკისა და სურათების მიხედვით:

- განსაზღვრეთ, სად არის გავრცელებული გაუვალი ჯუნგლები. რა შეიძლება იყოს მათი გავრცელების მიზეზი?
- განსაზღვრეთ კონტინენტები, სადაც უდაბნოები არსებობს.
- მსოფლიოს რომელ კონტინენტებზეა გავრცელებული წინვოვანი ტყეები?
- როგორ აღწერდით ფართოფოთლოვანი ტყეების ბუნებრივ კომპონენტებს?
- რომელ კონტინენტებზე უკავიათ სტეპებს განსაკუთრებით ვრცელი ტერიტორია?
- სად გვხვდება მყინვარები?
- რომელ კონტინენტებზე უკავიათ მთიან რაიონებს განსაკუთრებით ვრცელი ტერიტორიები?

5.2 ბუნება სისტემა

ბუნების დანერგვა



„ბიოსფერო-2“-ის გარეგნული ხედი

მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ „ბიოსფერო-2“-ში არანაირი პრობლემა არ გაჩნდებოდა. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მზის სინათლე ხელს შეუწყობდა ლაბორატორიის შიგნით მცენარეების ზრდას, მწვანე ფოთლები – მის ჟანგბადით გამდიდრებას, შიგნით არსებული მწერები და მიკროორგანიზმები კი მცენარეთა ყვავილების დამტვერვას. თუმცა მეცნიერთა მოლოდინი „ბიოსფერო-2“-თან დაკავშირებით არ გამართლდა. რამდენიმე კვირაში მიკროორგანიზმებისა და მწერების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, ჟანგბადის რაოდენობა კი შემცირდა. შიგნით მყოფ მკვლევრებს სულის ხუთვა დაენყოთ. მეცნიერებმა დაარღვიეს ექსპერიმენტის პირობები და იძულებულნი გახდნენ, ჟანგბადი ლაბორატორიისთვის გარედან მიეწოდებინათ.

1991 წელს აშშ-ის შტატ არიზონაში უზარმაზარი ექსპერიმენტული ლაბორატორია ააშუშავეს. ლაბორატორიის მუშაობის მიზანი იყო პასუხის გაცემა კითხვაზე: „შესაძლებელია თუ არა სიცოცხლის არსებობა ჩაკეტილ გარემოში?“ ამ ლაბორატორიაში, რომელსაც „ბიოსფერო-2“ უწოდეს, უდაბნოების, ტყეების, ბუჩქნარის, სტეპების ბუნებრივი პირობები იყო შექმნილი. აქ ზუსტად ისეთივე „ტბები“ და „მდინარეები“ გახლდათ, როგორც ბუნებაში, ხელოვნური ქარიც კი ქროდა. მინაზე ნიადაგის სქელი და ნაყოფიერი ფენა იყო მოყრილი. აქ მცენარეთა და ცხოველთა 3000-ზე მეტ სახეობას მოუყარეს თავი. ლაბორატორიაში რვა მკვლევარი მუშაობდა. მათ ამ ჩაკეტილ სივრცეში 2 წელი მოუხდათ დარჩენა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით ურთიერთობდნენ გარე სამყაროსთან.



„ბიოსფერო-2“-ის შიდა ხედი

საქმიანობა

- 1 ბუნების რა კომპონენტები შეიქმნა „ბიოსფერო-2“-ში?
- 2 დამყარდა თუ არა კავშირი „ბიოსფერო-2“-ში შექმნილ კომპონენტებს შორის? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- 3 თქვენი აზრით, რატომ ეწოდა ამ ლაბორატორიას „ბიოსფერო-2“?
- 4 დააკვირდით A და B სურათებს. რომელ მასალებს მიენიჭა უპირატესობა ლაბორატორია „ბიოსფერო-2“-ის აშენებისას? რა იყო ამის მიზეზი?
- 5 თქვენი აზრით, რატომ არ ახდა ლაბორატორია „ბიოსფერო-2“-თან დაკავშირებული პრობლემები?



მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორია „ბიოსფერო-2“-ს ბევრი ფული დაახარჯეს, მოსალოდნელი შედეგი ვერ მიიღეს. სტაჟიორებს სასმელი წყლისა და საკვების პრობლემა შეექმნათ.

გადიოდა კვირები. თანდათანობით სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი. კომპლექს „ბიოსფერო-2“-ის შიგნით დღის განმავლობაში აორთქლებული წყალი მიწის ქერს ფარავდა და ღამე წვიმად ჩამოდიოდა. ამან, პირველ რიგში, „უდაბნოს“ ეკოსისტემის დარღვევა გამოიწვია. ჭიანჭველებისა და ტარაკანების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. მეცნიერებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ბუნებაში ქარი მუდმივად სხვადასხვა სიჩქარითა და მიმართულებით უბერავს. ამ მიზეზის გამო ხეების ტოტებმა მტვრევა დაიწყო.

უდაბნო კომპლექს „ბიოსფერო-2“-ში

ამჟამად კომპლექსი „ბიოსფერო-2“ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სახით ფუნქციონირებს. ასობით სტაჟიორს ჩაუტარებია აქ კვლევა. ამავე დროს კომპლექსი არიზონის ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული ზონაა.



ტყე კომპლექს „ბიოსფერო-2“-ში



ტურისტები კომპლექს „ბიოსფერო-2“-ში

6 რა შეიძლება ყოფილიყო ლაბორატორია „ბიოსფერო-2“-ში მზის სინათლის შემცირების მიზეზი?

7 ტექსტის საფუძველზე შეავსეთ ცხრილი:

მიზეზი	შედეგი
1.	უდაბნოს ლანდშაფტი დაირღვა.
2.	მზის სინათლე შემცირდა.
3.	ხეების ტოტები დაიმტვრა.

8 რა ცვლილებები განვითარდა ექსპერიმენტის შედეგად D სურათზე აღბეჭდილ ტყეში? რამ განაპირობა ეს?

9 როგორ ფიქრობთ, მსგავსი ექსპერიმენტი ხელმეორედ რომ ჩატარდეს, შედეგები ისეთივე იქნება, როგორც პროექტ „ბიოსფერო-2“-ში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.



ყველაზე მსხვილი ბუნებრივი სისტემა თავად დედამიწაა. ეს სისტემა ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ბიოსფეროს ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშვა.


ბუნების კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ეს კავშირი ბუნებრივ სისტემას ქმნის. ბუნებრივი სისტემა გარემოში ამინდის პირობების, წყლის, რელიეფის, მთის ქანების, ნიადაგის, ფლორის, ფაუნისა და მიკროორგანიზმების ურთიერთკავშირია. მაგალითად, ტყის წარმოსაშობად აუცილებელია სათანადო რაოდენობის ნიადაგი, სითბო და ტენი.

დედამიწა ბუნებრივი სისტემაა

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დედამიწის ბუნებრივი სისტემის შემადგენლის, მთის ქანების, წრებრუნვა. ამ წრებრუნვის მიზეზებია ტემპერატურა, წყალი, ქარი და ცოცხალი კომპონენტები. მთის ქანების წრებრუნვა გულისხმობს ქანების ფორმირებას, დამლას, გადატანას, დაგროვებასა და ნიადაგის შექმნას.



ტყის ბუნებრივი სისტემა




მთის ქანების წრებრუნვა

საქმიანობა

- 1 A სურათისა და ტექსტის მიხედვით ახსენით, რატომ უწოდებენ პლანეტა დედამიწას ერთიან სისტემას.
- 2 B სურათის მიხედვით განსაზღვრეთ, ცოცხალი სამყაროს რომელი სახეობებისთვისაა ტყე საბინადრო გარემო.
- 3 C სურათის მიხედვით ახსენით მთის ქანების წრებრუნვის მნიშვნელობა.
- 4 განსაზღვრეთ B და C სურათებზე გამოსახული ბუნებრივი სისტემების მსგავსი თავისებურებები.
- 5 B სურათზე აღბეჭდილ ტყეში რომ ხეები გავჩეხოთ, რა გავლენას მოახდენს ეს იქ მობინადრე ცოცხალ არსებებზე?

ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის მნიშვნელოვანი ფაქტორია წყლის წრებრუნვა ჰიდროსფეროში. მზე დედამიწის ზედაპირს ათბობს და წყლის აორთქლებას იწვევს. ორთქლი წყლის ზედაპირიდან მაღლა ადის, ცივდება და გარკვეულ სიმაღლეზე სითხედ ან მყარ ნივთიერებად გადაიქცევა. შემდეგ იგი ატმოსფერული ნალექების სახით ჩამოდის ზედაპირზე და მდინარეებისა და მიწისქვეშა წყლების მეშვეობით ოკეანეს უბრუნდება.




წყლის წრებრუნვა

ბიოსფერო ყველა ბუნებრივი კომპონენტის ერთობლივი მოქმედების შედეგად წარმოიშობა და ნივთიერებათა წრებრუნვას აყალიბებს. აქ ცოცხალი და არაცოცხალი კომპონენტები ქმნიან გარემოს, რომელიც ხელსაყრელია სიცოცხლისთვის. ამგვარ გარემოში იქმნება ცოცხალი ბუნების „კვებითი ჯაჭვი“. მთის ქანების, წყლის, მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ურთიერთქმედების პროცესში ბუნებაში მიმდინარე ნივთიერებათა წრებრუნვის მიზეზი მზის ენერჯია და დედამიწის შინაგანი სითბოა. ფოტოსინთეზის პროცესიც უდიდეს როლს ასრულებს დედამიწაზე ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შექმნაში.

6 D სურათის მიხედვით შეასრულეთ დავალებები და უპასუხეთ კითხვებს:

- a)** ახსენით წყლის წრებრუნვის მნიშვნელობა.
- b)** განსაზღვრეთ, რომელი წყაროებიდან აორთქლდება წყალი.
- c)** გვიამბეთ, ბუნებაში სად გვხვდება წყალი სამ მდგომარეობაში.
- d)** რა როლს ასრულებს მდინარეები წყლის წრებრუნვაში?
- e)** შეაფასეთ მცენარეების როლი წყლის წრებრუნვაში.

პლანეტა დედამიწაზე მიმდინარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი პროცესია ფოტოსინთეზი. ფოტოსინთეზის პროცესში მცენარეები მზის ენერგიას არაორგანული ნივთიერებებისგან ორგანული ნივთიერებების მისაღებად იყენებენ. ამ დროს წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებები მცენარის სხვადასხვა ორგანომდე აღწევს და იქ მარაგის სახით გროვდება. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მომარაგებულ ნივთიერებებს ბალახისმჭამელი ცხოველები და ადამიანი საკვებად იყენებენ. ფოტოსინთეზის პროცესი ატმოსფეროს აიროვანი შემადგენლობისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ჟანგბადი გამოიშვება და გარემოში ვრცელდება. დედამიწაზე ჟანგბადის ძირითადი წყარო მსოფლიო ოკეანის წყალმცენარეებში მიმდინარე ფოტოსინთეზის პროცესია. მარილის დიდი რაოდენობის შემცველ ან პოლარული რეგიონების მყინვარებით დაფარულ ოკეანეებში, წყალმცენარეების მცირე რაოდენობის გამო, ფოტოსინთეზი სუსტად მიმდინარეობს. მცენარეები, რომლებშიც ფოტოსინთეზი მიმდინარეობს, არსებით გავლენას ახდენს ნიადაგწარმოქმნის პროცესზეც. მცენარის ფესვთა სისტემა მიწის ზედაპირის ზედა ფენის ქანების დაშლაში მონაწილეობს. დაშლილ მთის ქანებში შერეული მცენარეთა და ცხოველთა ნაშთები ნიადაგწარმოქმნის საფუძველია. მცენარეთა ფესვთა სისტემა ნიადაგის ეროზიისა და მენყრისგანაც გვიცავს.




საქმიანობა

- 1 A სურათისა და ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:
 - a) აღწერეთ გარემოში მიმდინარე პროცესები.
 - b) ახსენით ფოტოსინთეზის პროცესის მნიშვნელობა.
 - c) გააანალიზეთ ფოტოსინთეზის როლი ატმოსფეროს აიროვან შემადგენლობაში.
- 2 ყველაზე მეტი ჟანგბადი ატმოსფეროში დედამიწის წყლით დაფარული ზედაპირიდან ხვდება. ახსენით ამის მიზეზი.
- 3 ფოტოსინთეზის პროცესი რომ არ არსებობდეს, რა ცვლილებები მოხდებოდა ბუნებაში?
- 4 ნახშირორჟანგის რაოდენობა ატმოსფეროში მატულობს. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
- 5 რა საშიშროების გამოწვევა შეუძლია ნახშირორჟანგის რაოდენობის მომატებას? რა შეგიძლიათ, თქვათ ამის შესახებ?

ფოტოსინთეზის პროცესი დედამიწაზე ყველგან ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობს. ის უფრო ინტენსიური ტყეებით მდიდარ რეგიონებშია – ამაზონის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ცენტრალური აფრიკის ტყეებში. რაც შეეხება ჩრდილოეთ აფრიკას და ცენტრალურსა და სამხრეთ-დასავლეთ აზიას, ანუ მცენარეულობით ღარიბ რაიონებს, აქ ფოტოსინთეზი სუსტად მიმდინარეობს. რადგანაც ფოტოსინთეზის განხორციელებისთვის აუცილებელია მზის სინათლე, ეს პროცესი შესუსტებულია აგრეთვე შედარებით ბნელსა და მზით ნაკლებად განათებულ ადგილებში. ასეთებია, მაგალითად, დედამიწის პოლარული რეგიონები, სადაც ნახევარი წელი ბნელა. შესაბამისად, აქ ფოტოსინთეზიც სუსტია.

მსოფლიოში არსებული გლობალური პრობლემები უარყოფითად მოქმედებს ფოტოსინთეზის პროცესზე. კლიმატის ცვლილება, ადამიანის საქმიანობის თანმდევი ჰაერის დაბინძურება, ტყეების გაჩეხა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება და სხვადასხვა ეკოსისტემის დარღვევა დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ფოტოსინთეზის პროცესის შესუსტებას განაპირობებს.



ფოტოსინთეზის განაწილება დედამიწაზე

- 6 B სურათის თანახმად, დაასრულეთ ცხრილი:
- | | |
|--|---|
| ტერიტორიები, სადაც ინტენსიური ფოტოსინთეზი მიმდინარეობს | ტერიტორიები, სადაც სუსტი ფოტოსინთეზი მიმდინარეობს |
|--|---|
- 7 ახსენით ფოტოსინთეზის ინტენსიურობის მიზეზები იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს ხდება.
- 8 გაარკვეით ფოტოსინთეზის სუსტად მიმდინარეობის მიზეზები იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს ხდება.
- 9 ტექსტზე დაყრდნობით, გამოთქვით მოსაზრება პლანეტა დედამიწისთვის ფოტოსინთეზის მნიშვნელობის შესახებ.
- 10 რა უნდა მოიმოქმედონ ადამიანებმა დედამიწის ატმოსფეროს კატასტროფისგან დასაცავად?

გალხმავება

მანგროს ტყეები – ლოკალური ბუნებრივი სისტემა




კუნძულ მადაგასკარზე, მენაბეს რეგიონის სანაპიროს გასწვრივ, წყლისა და ხმელეთის ზედაპირის გადაკვეთის ადგილებზე ფართოდაა გავრცელებული მანგროს ტყეები. ამ ტყეების ხეებს მეტად რთული ფესვთა სისტემა აქვთ. ისინი სანაპიროს ზღვის უზარმაზარი ტალღებისგან იცავს. ტალღების მიერ მოტანილი ქვიშა და ზღვის ნაგავი ფესვებში იჭედება. ეს ტე-

მანგროს ტყეები

რიტორიები ზღვის ზოგიერთი ბინადარისთვის საკვებისა და თავშესაფრის წყაროა. ისინი აქ შტორმის დროს იმალებიან. ხეების ფესვები მარილიან წყალს ისრუტავს. ამის შედეგად ზღვის ბინადართა გამრავლების, თევზების ქვირითობისა და ზღვის მარგალიტის წარმოქმნისთვის კეთილსასურველი გარემო ყალიბდება. მდიდარი ფაუნა ამ ადგილებში ნადირობის მიზნით ფრინველების და ცხოველების თავმოყრის მიზეზი ხდება. მანგროს ტყეები უფრო მეტ ნახშირორჟანგს შთანთქმავს, ვიდრე ხმელეთზე არსებული ტყეები. მათ გაჩეხას გლობალური დათბობის დაჩქარება შეუძლია. მანგროს ტყეებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის პლასტიკზე გადაყრილი პლასტმასის კონტეინერები. ნაგავი ცოცხალ ბუნებას ანადგურებს. ადგილობრივი მოსახლეობა ტყეებს შეშისა და სამშენებლო მასალებისთვის ჩეხს, ასევე, ნაგავის დასამზადებლად იყენებს. ამ ტერიტორიების ბუნებრივ სისტემას საფრთხეს ზედმეტად ინტენსიური თევზჭერაც უქმნის.



მანგროს ტყეების გავრცელების ტერიტორია




მანგროს ბუნებრივი სისტემა

საქმიანობა

- 1 რით განსხვავდება A სურათზე აღბეჭდილი ტყე სხვა ტყეებისგან?
- 2 B რუკაზე განსაზღვრეთ მანგროს ტყეების გავრცელების ტერიტორიები.
- 3 ახსენით მანგროს ტყეების, როგორც C სქემაზე გამოსახული ლოკალური ბუნებრივი სისტემის, განსაკუთრებული თავისებურება.
- 4 მანგროს ტყეების რა პრობლემებს ხედავთ D სურათზე და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ?
- 5 რა შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ D სურათზე წარმოდგენილი სიტუაციის დასაბალანსებლად? იმსჯელეთ ამაზე.



შეფასება



- 1 ამოარჩიეთ გამოტოვებული ადგილების შესაბამისი სიტყვები:
წყალი, ურთიერთკავშირია, ქარხნის კვამლი, ხმელეთი, ამონურვა
 დედამინაზე არსებული ბუნების ყველა კომპონენტი ერთი კომპონენტის განადგურებას მეორის შეუძლია.
 ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოფრქვევის მიზეზებია ორგანული სამყარო,
, ტყის ხანძარი.
 მზის ენერჯია, და ცოცხალი ორგანიზმებისთვის სიცოცხლის წყაროა.
- 2 დაადგინეთ სურათზე ასოების მნიშვნელობა და დაწერეთ ისინი წინადადებაში გამოტოვებულ ადგილებში:
 - a) კომპონენტის არსებობა და მდგომარეობა დამოკიდებულია
 - b) ოკეანეებში ჟანგბადის წყაროა.
 - c) ხმელეთზე ჟანგბადი ატმოსფეროში ხვდება.
 - d) წყლის წრებრუნვის სანყისი სტადია.
 - e) წყალსატევების ზედაპირიდან აორთქლებული წყალი ხმელეთზე
 მემკვობით ბრუნდება.
 - f) წყლის წრებრუნვაში ერთ-ერთი დამაკავშირებელი კომპონენტია


1. ცხრილის შესაბამისად დააჯგუფეთ კომპონენტები:

- | | | | |
|---------------|---------|----------|----------|
| 1. მთა | 2. ტყე | 3. ზღვა | 4. მდელო |
| 5. ფრინველები | 6. კლდე | 7. ტალღა | 8. წყალი |


ცოცხალი ორგანიზმები

არაცოცხალი ობიექტები

2. სურათზე წყლის წრებრუნვა დახატული. სწორი თანამიმდევრობით დაწერეთ ეტაპების ნომრები.



3. კითხვის ნიშნის ნაცვლად, რომელი აირის სახელწოდება უნდა დაინეროს?




4. დაადგინეთ შესაბამისობა


1 კვებითი ჯაჭვი

2 ფოტოსინთეზის პროცესი

3 მთის ქანების წრებრუნვა



5. განსაზღვრეთ, მთის რომელ ფერდობს ეკუთვნის თითოეული ნახატი.



მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის ბუნებაში

რა უნდა გავაკეთოთ, რომ საკუთარი სამშობლო გავიცნოთ?



ამ სურათზე ტუგაის ტყეებია აღბეჭდილი. ეს ტყეები მდინარე მტკვრის გასწვრივ მდებარე ტენიან მიწებზეა გადაჭიმული. მათ აზერბაიჯანის „ამაზონის ტყეებს“ უწოდებენ. აქ ისე მჭიდროდ ხარობს ალვის ხე, მუხა, თელა, თუთა, ტირიფი, რომ თითქმის გაუვალი ჯაგნარი იქმნება. რამდენიმე ათეული წლის წინ ტუგაის ტყეების უმეტესი ნაწილი შეშად ან ბამბის პლანტაციების გასაშენებლად გაჩეხეს. ამის შედეგად უკვე გაქრა თავის დროზე ამ ტყეებში გავრცელებული ტახი, მელა, ბოცვერი, ხოხობი, მტრედი, კაკაბი, შაშვი და ბევრი სხვა ცხოველი. ამ რაიონებში მინაც გამოუსადეგარი გახდა. ამჟამად სწრაფად მიმდინარეობს ტუგაის ტყეების აღდგენა, ლოკალური ბუნებრივი სისტემა კი წინანდებურ სახეს იღებს.

- რატომ ადარებენ სურათზე გამოსახულ ტუგაის ტყეებს „ამაზონის ჯუნგლებს“?
- რა შეგიძლიათ, თქვათ ტუგაის ტყეების ბუნების შესახებ?
- ჩვენი ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე მდებარე რომელი ბუნებრივი სისტემა შეგიძლიათ, მაგალითად მოიყვანოთ?
- როგორ აღწერდით იმ ტერიტორიის ბუნებრივ სისტემას, რომელზეც ცხოვრობთ?


6.1

გავეცნოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებას

გავეთიღის დაწყებამდე

ლენქორანისა და მისი მიმდებარე რაიონების ბუნება აზერბაიჯანის სხვა ტერიტორიებისგან განსხვავებულია. ეს ის ადგილია, სადაც თალიშის მთები, ლენქორანის დაბლობი და კასპიის ზღვა ძალიან ახლო ერთმანეთთან, ანუ სადაც მრავალფეროვანი ბუნებრივი სისტემები ხვდება ერთმანეთს. მთისწინეთში მრავალი წყაროა, მათ შორის ბევრია ცხელი წყარო, რომელთა წყლის ტემპერატურა 45-47°C-ია.

ლენქორანის ტყეებში გავრცელებულია რკინის ხე, რომელიც მსოფლიოს იშვიათი მცენარეების სიაში შედის და მხოლოდ აქ იზრდება.



რკინის ხეების ტყე

ლენქორანი ცნობილია ჩაის მცენარის მნიშვნელოვანი პლანტაციებით. დიდფართობებზე ხარობს ასევე კივი, ლიმონი, ფეიხოა, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიპფრუტი და სხვა ციტრუსოვანი მცენარეები.

აზერბაიჯანის ფიზიკური რუკა

ზამთრის პერიოდში მილიონობით გადამფრენი ფრინველი იბუდებს კასპიის სანაპიროზე მდებარე ყიზილაღჯის ეროვნულ პარკში. ლენქორანი ერთადერთი ადგილია ქვეყანაში, სადაც შავი ქვიშის პლაჟია.



ყიზილაღჯის ეროვნული პარკი

საქმიანობა

- 1 A რუკის მიხედვით განსაზღვრეთ, აზერბაიჯანის რომელ ნაწილში მდებარეობს B ტერიტორია.
- 2 B სურათის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:
 - a) რომელი მიმართულებით მალლდება თანდათან მთები?
 - b) რა როლს ასრულებს თალიშის მთები ლენქორანის რაიონის უხვნალექიანობაში?
- 3 მცენარეთა რომელი იშვიათი სახეობის ნახვა შეიძლება ამ რეგიონის ტყეებში?




E

სიმაღლის მატებასთან ერთად, მთებში ჰაერის ტემპერატურა იკლებს. ზამთარი აქ ცივია, ზაფხული კი გრილი. გარკვეულ სიმაღლემდე ატმოსფერული ნალექების რაოდენობა იზრდება, მერე კი მცირდება. ასეთი ამინდი მთიან რაიონებში ტყეების გავრცელების პირობებს ქმნის. თალიშის მთების ბუნება კი ჩვენი ქვეყნის სხვა მთების ბუნებისგან განსხვავდება.




თალიშის მთები

აქ ატმოსფერული ნალექები, ძირითადად, იმ ადგილებში მოდის, სადაც მთები დაბლობებს ერწყმის. თანაც ნალექები, უპირატესად, ზამთრის თვეებში შეინიშნება.



F

თალიშის მთებში ჩამოყალიბებული ბუნებრივი სისტემა



ატმოსფერული ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა (მმ)
200 400 600 800 1000 1600

G

ატმოსფერული ნალექების განაწილება ლენქორანის ტერიტორიაზე

- 4 C სურათზე გამოსახულ ტყეში ხეების ტანი ხავსითაა დაფარული. თქვენი აზრით, რაზე მიუთითებს ეს?
- 5 D სურათსა და ტექსტზე დაყრდნობით, აღწერეთ ყიზილალაჯის ნაკრძალის ბუნება.
- 6 F რუკასქემის მიხედვით განსაზღვრეთ E სურათზე გამოსახული მთის ზღვისკენ მიქცეული კალთის ბუნება.
- 7 F სურათის მიხედვით ახსენით შემდეგი საკითხები:
 - a) განსაზღვრეთ, რომელი მხრიდან უბერავს ცხელი და მშრალი ქარი; თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?
 - b) რომელი მხრიდან უბერავს ნესტიანი ქარები და რატომ მოაქვს ამ ქარებს ატმოსფერული ნალექები?
- 8 რა ბუნებრივი სისტემები შექმნეს ამ ქარებმა?



A

სიზის მთები



B


დუზდაგი

ამინდის პირობები აზერბაიჯანში მკვეთრად განსხვავებულია და ადგილის სიმაღლესა და ზღვასთან სიახლოვეზეა დამოკიდებული. მაგალითად, როცა უჯარში ჰაერის ტემპერატურა $+36^{\circ}\text{C}$ -ია, ამ დროს შაჰდაღში თოვლი დევს. ქვეყანაში განსხვავებულია ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაც. თუ, მაგალითად, ნახიჩევანში წელიწადში 271 მმ ნალექები მოდის, ზაქათალაში მათი რაოდენობა 1036 მმ-ს აღწევს.

აზერბაიჯანის ტერიტორიის ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მთებს უკავია. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სიზის მთები ძალიან საინტერესოდ გამოიყურება. ეს იმიტომ, რომ ისინი წითლად, მუქ-ყავისფრად და ვარდისფრადაა შეფერილი. ამის მიზეზი მთის ქანებში რკინის ნაერთების არსებობაა. მთები ძალიან მაღალი არ არის. ასეთი ფერადი მთების ნახვა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც (მაგ., ჩინეთში, პერუში) შეიძლება.

დუზდაგი ნახიჩევანში თანამედროვეობის ერთ-ერთი იშვიათი მღვიმეა. ეს გახლავთ სიცარიელე 8-9 მეტრის სისქის მარილის ფენაში. მღვიმის სიგრძე 300 მეტრია. იგი 110 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. შესაბამისი გამოთვლების თანახმად, დუზდაგში დაახლოებით 130 მლნ. ტონა მარილის მარაგია. ამ მარილს სამკურნალო დანიშნულებაც აქვს.

ზაქათალასა და ნახიჩევანში ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილება წლის განმავლობაში



C

საქმიანობა

- 1 A სურათის მიხედვით გამოთქვით მოსაზრება მთების უჩვეულო იერის თაობაზე.
- 2 B სურათისა და ტექსტის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ ბუნებრივ ფაქტორს შეიძლება უკავშირდებოდეს ნახიჩევანში დუზდაგის მღვიმის არსებობა?
- 3 C სურათზე მოცემული გრაფიკების საფუძველზე განსაზღვრეთ თვეები ტემპერატურისა და ნალექების ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით.
- 4 C სურათის მიხედვით, გამოთქვით მოსაზრება, როგორი ბუნებრივი სისტემა შეეძლო, შეექმნა ზაქათალასა და ნახიჩევანში მოსულ ატმოსფერულ ნალექებს?




აზერბაიჯანში ბევრი მდინარე და ტბაა. ყველაზე გრძელი მდინარეები მტკვარი (კურა) და არაზია. ეს მდინარეები სათავეს თურქეთის ტერიტორიაზე იღებს. მდინარე მტკვარი კასპიის ზღვაში ჩაედინება, არაზი კი – მტკვარში. იმ ადგილების რელიეფი, რომლებზეც ისინი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაედინება, დაბლობია. მტკვარი და არაზი უფრო წყალუხვია გაზაფხულზე. ზაფხულობით მათში წყლის დონე იკლებს.


▲ აზერბაიჯანის ფიზიკური რუკა

სარისუს ტბა აზერბაიჯანში ყველაზე დიდი ტბაა. ის მდინარე მტკვრის ნაპირზე მდებარეობს. ტბიდან მტკვრისკენ წყლის გადინება ხდება. ტბისპირა ლელქაშებსა და ჭაობებში 300 ათასამდე გადამფრენი ფრინველი იზამთრებს. სარისუში უამრავი სხვადასხვა სახეობის თევზია.

აზერბაიჯანში გვაქვს ჰირკანის, სულთანბუდის, ტუგაის, ნაბრანის, ზაქათალისა და სხვა ტყეები, რომლებიც ძალზე მდიდარია მცენარეული და ცხოველური სამყაროთი. მაგრამ ამავე დროს არის გობუსტანის კლდეები, სამხრეთ-აღმოსავლეთ შირვანის ვაკე, სადაც ფლორა და ფაუნა არც თუ ისე მდიდარია.



▲ სარისუს ტბა




▲ მცენარეული საფარველის მრავალფეროვნება

- 5 D სურათის მიხედვით განსაზღვრეთ მდინარე მტკვრის დინების მიმართულება და ახსენით ამის მიზეზი.
- 6 D სურათის მიხედვით განსაზღვრეთ, რა კავშირია მტკვრისა და არაზის დინების ტერიტორიის რელიეფსა და ამ მდინარეების დინების სიჩქარეებს შორის.
- 7 დაახასიათეთ იმ ტერიტორიის რელიეფი, რომელზედაც E სურათზე გამოსახული სარისუს ტბა მდებარეობს D რუკაზე. თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამან ტბის ბუნებრივ პირობებზე?
- 8 შეადარეთ ერთმანეთს F სურათზე მოცემული 1-ლი და მე-2 გამოსახულებები. განმარტეთ ამინდის პირობების როლი მრავალფეროვანი ბუნების შექმნაში.
- 9 დაადგინეთ შესაბამისობა 1-ელ და მე-2 გრაფიკსა (სურ. C) და 1-ელ და მე-2 გამოსახულებებს (სურ. F) შორის.

აზერბაიჯანის ბუნების ფორმირებაზე გავლენას ახდენს ქვეყნის გეოგრაფიული პირობები – მისი ზღვისპირა მდებარეობა, მთები მისი საზღვრების გასწვრივ, ცენტრალურ ნაწილში არსებული ვაკეები და მდინარეები ქვეყნის ტერიტორიაზე.

დიდი კავკასიონის ქედზე არსებობს მწვერვალები, რომელთა სიმაღლე 4000 მეტრს აღემატება. ყველაზე მაღალი მწვერვალი ბაზარდუზუა. დიდი კავკასიონის ქედი აზერბაიჯანის ტერიტორიას ბუნებრივი ბარიერით იცავს ცივი ქარებისგან და რბილი კლიმატისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამის შედეგად დიდი კავკასიონის სამხრეთ ნაწილში მდიდარი მცენარეული და ცხოველური სამყაროს არსებობისთვის კეთილსასურველი პირობები იქმნება.


მცირე კავკასიონის მთების სიმაღლე 4000 მეტრამდეა. ყველაზე მაღალი მწვერვალია გაპიჯიკი ნახჩევანში. ატლანტის ოკეანიდან მომდინარე ნოტიო ამინდის პირობებმა აქ ტყეების წარმოშობა განაპირობა. აქ მდინარეები, რომლებიც სათავეს ყარაბაღის მთებიდან იღებენ, აღმოსავლეთისკენ მიედინება და მტკვარსა და არაზს უერთდება.



საქმიანობა

1 A სურათისა და ტექსტის საფუძველზე შეავსეთ ცხრილი:

თავისებურებები	დიდი კავკასიონის მთები	მცირე კავკასიონის მთები	მტკვარ-არაზის დაბლობი	თალიშის მთები	კასპიის ზღვა
განლაგება	მდებარეობს ჩრდილოეთში				
როლი ბუნებაში	გზას უღობავს ცივ ქარებს				
მცენარეული საფარველი	ტყეები				



კასპიის ზღვა აზერბაიჯანს აღმოსავლეთიდან, ანუ ცენტრალური აზიიდან, მონაბერი მშრალი და მტვრიანი ქარებისგან იცავს. კასპიის ზღვას რომ გადაუქროლებენ, ქარებს თან ტენი მოაქვთ. ზღვაში იშვიათი სახეობის თევზები გვხვდება, მაგალითად, ზუთხი და ქაშაყი.

მტკვარ-არაზის დაბლობი ყოველი მხრიდან მთებითაა შემოსაზღვრული. დაბლობი კასპიის ზღვის მხარესაა დახრილი. აქ ზაფხული ცხელი იცის, ზამთარი კი რბილი. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დიდი არ არის, ისიც ძირითადად, წვიმის სახით მოდის. ნიადაგის ნაყოფიერება დაბალია, მცენარეულობა – ღარიბი.


თალიშის მთების სიმაღლე 2000 მეტრს აღემატება. ყველაზე მაღალი მწვერვალია გომურგოი. ეს მთები ნაწილობრივ უღობავს გზას ქვეყანაში სამხრეთიდან მონაბერ ცხელ, მშრალ და მტვრიან ქარებს. თალიშის მთების სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში სრულიად განსხვავებული ბუნებრივი პირობებია. ნოტიო ამინდის პირობები ხელს უწყობს მდიდარი ტყიანი საფარველის წარმოშობას. ტყეებში უხვადაა მნიშვნელოვანი სახეობის ხეები.

- 2 რუკისა და ტექსტების მიხედვით უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:
- კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობა რა უპირატესობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანას?
 - 27-ე გვერდზე მოცემული F და G სურათების მიხედვით იმსჯელეთ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან თალიშის მთების სხვადასხვა ფერდობისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები.
 - რომელი ფაქტორები შეიძლება უკავშირდებოდეს ყარაბაღის ბუნების სიმდიდრეს?
 - დიდი კავკასიონის მთები ჩრდილოეთით რომ არ მდებარეობდეს, როგორი იქნებოდა აზერბაიჯანის ბუნება? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- 3 რა უნდა იყოს მტკვარ-არაზის დაბლობისთვის დამახასიათებელი გვალვიანი ამინდისა და ღარიბი მცენარეული საფარველის მიზეზი?

გალხმავება

რატომ უჩივანა შირვანის ნაკრძალი?

შირვანის ვაკე ერთ-ერთია იმ ტერიტორიათაგან, რომლებიც თავისებური ბუნებრივი სისტემით ხასიათდება. გასული საუკუნის 50-იან წლებში ეს ტერიტორია მდიდარი მცენარეული და ცხოველთა სამყაროთი გამოირჩეოდა. შირვანის ვაკეს ვრცელ ზამთრის საძოვრებადაც იყენებდნენ. ზამთრის თვეებში აქეთ ჯოგებად მოერეკებოდნენ საქონელს. ცხოველთა ჯოგების მასობრივმა მიგრაციამ ამ რაიონებში მცენარეული საფარველის სწრაფი გაღარიბება და ტბების დაშრობა განაპირობა. გამოკვებისთვის ხელსაყრელი პირობების გამო აქ სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ ველური ცხოველები, განსაკუთრებით, მგლები. ამის შედეგად არსებული ბუნებრივი სისტემა დაირღვა და პრობლემებმაც თავი იჩინა.








ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქურციკების (ჯეირნების) რაოდენობის მკვეთრად შემცირება იყო. იმ დროს შირვანის ვაკეზე მგლების გახშირებული თავდასხმების გამო მხოლოდ 77 ქურციკი იყო დარჩენილი. ზაფხულის პერიოდში, მას შემდეგ, როცა ცხოველთა ჯოგებს მთაში გარეკავდნენ, მგლები ამ რაიონში ქურციკებზე იწყებდნენ ნადირობას. შირვანის ნაკრძალმა, რომელიც 1961 წელს შეიქმნა განსაკუთრებული ღონისძიებების შედეგად, ქურციკები მასობრივ განადგურებას გადაარჩინა. დღესდღეობით აქ 10 000-ზე მეტი ქურციკია. ნაკრძალში ასევე გამრავლდა კაკაბი, სავათი, სარსარაკი, უდაბნოს არწივი, ხმელთაშუაზღვისპირა კუ და სხვა ცოცხალი არსებები. 2003 წლიდან შირვანის სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალისა და მის მახლობელ ტერიტორიებზე შირვანის ეროვნული პარკი მოქმედებს.

საქმიანობა

- 1 A რუკის მიხედვით განსაზღვრეთ, სად მდებარეობს შირვანის ნაკრძალი და აღწერეთ მისი ბუნებრივი პირობები.
- 2 რატომ მოდენიდნენ ზამთრის თვეებში ცხოველთა ჯოგებს შირვანის ვაკეზე?
- 3 რა ფაქტორებს უკავშირდებოდა ქურციკების რაოდენობის შემცირება?
- 4 რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ რაიონებში, სადაც ბუნებრივი სისტემები დარღვეულია?

შეფასება


ჩაატარეთ კვლევა. გეგმიდან და შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, შეაფასეთ ცხრილი.

კვლევის ჩატარების გეგმა	სამუშაო, რომელიც უნდა ჩატარდეს	შედეგები
<p>საკვლევი კითხვა</p> 	<p>რა თავისებურებებით ხასიათდება ის ადგილი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ?</p>	
<p>კვლევის გეგმა</p> 	<p>აზერბაიჯანის რომელ ნაწილში ცხოვრობთ? როგორია ადგილმდებარეობის რელიეფი? როგორ გადის ზაფხულის თვეები თქვენთან? როგორ გადის ზამთრის თვეები თქვენთან? რა ფაქტორები მოქმედებს მოცემული ტერიტორიის ამინდის პირობებზე? რომელი მცენარეები იზრდება? რომელი ცხოველები გვხვდება?</p>	
<p>ინფორმაციის შეკრება</p> 	<p>მონაცემები ინტერნეტიდან აზერბაიჯანის ფიზიკური რუკა დაკვირვების მონაცემები გამოკითხვის ჩატარება ხანდაზმულ ადამიანებს შორის</p>	
<p>ინფორმაციის ანალიზი</p> 	<p>შედეგების შედარება და განსჯა შეკრებილი ინფორმაციის ანალიზი</p>	
<p>პრეზენტაცია</p> 	<p>მასალის სლაიდების მომზადება ვიდეომასალის გადაღება დასკვნების გამოტანა და წარმოდგენა.</p>	

1. დადგინეთ შესაბამისობა.

სარისუ	შეიქმნა ნაკრძალი ჯეირნებისთვის.
ლენქორანი	ფართოდაა გავრცელებული რკინის ხეების ტყეები.
შირვანი	სანაპიროზე ჭაობები და ლელქაშია.

2. გამოიყენეთ აზერბაიჯანის ფიზიკური რუკა (გვ. 30-31) და განსაზღვრეთ, რელიეფის რა ფორმებია დამახასიათებელი მოცემული პუნქტებისთვის.



- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

3. სურათზე გამოსახულია ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი დასახლება გობუსტანი. სურათის მიხედვით, რა შეგიძლიათ, თქვით შესაბამისი ბუნებრივი პირობების შესახებ?

- | | |
|-----------------------|-------------------------|
| a) ტერიტორიის რელიეფი | c) მცენარეული საფარველი |
| b) ამინდის პირობები | d) ცხოველთა სამყარო |



4. როგორ მოქმედებს აზერბაიჯანის რელიეფი ცხრილში მოყვანილი ტერიტორიების ბუნებრივ პირობებზე?

კავკასიონის მთები	მტკვარ-არაზის დაბლობი
-------------------	-----------------------

5. შეავსეთ ცხრილი:

მიზეზები	შედეგები
1. დიდი კავკასიონის მთები ბუნებრივ ბარიერად გვევლინება.	1.
2.	2. შირვანში ნაკრძალი შეიქმნა.
3. ხიზის მთების ქანებში რკინის ნაერთები გვხვდება.	3.

6. წარმოიდგინეთ, რომ დიდი კავკასიონისა და თალიშის მთებმა ადგილები გაცვალეს. როგორ იმოქმედებდა ეს ამინდის პირობებზე აზერბაიჯანში? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

მსოფლიო ჩვენი სახლია

რა უნდა გავაკეთოთ, რომ ერთად მშვიდობიანად ვიცხოვროთ?



1000 წლის წინ დედამიწაზე 230 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ახლა ეს რიცხვი 8,0 მილიარდზე მეტს შეადგენს. გამოთვლების თანახმად, 80 წლის შემდეგ ის 11 მილიარდამდე გაიზრდება. ადამიანების რაოდენობის ზრდასთან ერთად, დედამიწაზე ახალი ქალაქები იქმნება და გზები შენდება. მაგრამ ამასთან ერთად ბუნებრივი რესურსები იფიტება და ბუნებაც იცვლება.

- რისი თქმა შეიძლება სურათის მიხედვით?
- ტექსტსა და გამოსახულებას შორის რა ლოგიკური კავშირის პოვნა შეგიძლიათ?
- რა პრობლემების გამონვევა შეუძლია დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას?

7.1

დედაინის სოციალური იერსახე

ბავშვთა დღის დანახვა



A



B



C

თურქეთში 1921 წლიდან ყოველი წლის 23 აპრილს ბავშვთა დაცვის დღე აღინიშნება. ეს თურქეთის რესპუბლიკის პირველი ეროვნული დღესასწაულია. ამ დღესასწაულზე, რომელიც ქვეყნის დედაქალაქში, ანკარაში, ტარდებოდა, მთელი თურქეთიდან ჩამოდოდნენ ბავშვები. მათ დიდ ეროვნულ კრებაზე ინვეგდნენ, სადაც ისინი ჯერ დამოუკიდებლობის ჰიმნს ასრულებდნენ, შემდეგ კი სეირნობა, კონკურსები და კონცერტები ეწყობოდა.

განცხადება ბავშვთა დაცვის დღის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ჯუმჰურიეთში“ 1938 წლის 23 აპრილს.

1979 წლიდან დღესასწაულმა საერთაშორისო მასშტაბი მიიღო. ამჟამად ამ დღესასწაულზე მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნიდან ინვეგენ ბავშვებს. დღესასწაული დიდი ზარზეიმით აღინიშნება ანკარაში, სტამბოლში, იზმირსა და თურქეთის სხვა ქალაქებში. სკოლები და ქუჩები ყვავილებითა და აღმებით ირთვება. საღამოს დღესასწაული ფეიერვერკებით სრულდება.

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი თანამედროვე პლაკატი

დღესასწაული იმით გამოირჩევა, რომ მონვეული ბავშვები რამდენიმე დღეს თურქულ ოჯახებს სტუმრობენ და დროს თავიანთ თანატოლ თურქ ბავშვებთან ერთად ატარებენ. ბავშვები თურქულ კულტურასა და ტრადიციებს ეცნობიან, თურქული სამზარეულოს კერძებს აგემოვნებენ და შინ ნაციონალური საჩუქრებით ბრუნდებიან.

თურქული ოჯახის უცხოელი სტუმარი

საქმიანობა

- 1 A სურათისა და ტექსტის მიხედვით გამოთქვით მოსაზრება, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვთა დაცვის დღეს ბავშვებისთვის.
- 2 A და B სურათებზე დღესასწაულის ემბლემა გამოსახული. რა განსხვავებებს ხედავთ მათ შორის?
- 3 რა შეგიძლიათ, თქვით C სურათის შესახებ?
- 4 რით არის მნიშვნელოვანი ის, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები ერთად იკრიბებიან?
- 5 რატომ იზრდება ყოველწლიურად ამ დღესასწაულისადმი ინტერესი?



ბავშვთა დაცვის დღეზე მონვეული ბავშვები დღესასწაულში საკუთარი ეროვნული კოსტიუმებითა და თავიანთი სახელმწიფოს სიმბოლოდ აღიარებული დროებით მონაწილეობენ. ღონისძიებებზე სიმღერებს მშობლიურ ენაზე მღერიან, ცეკვავენ, სხვადასხვა თამაშს, სპექტაკლსა და სცენას წარმოადგენენ.

სადღესასწაულო დღეს ბავშვებს სხვადასხვა სახელმწიფო დანესებულებაში, მათ შორის, პრეზიდენტის სასახლეშიც, ეპატიჟებიან. ამ დღეს ისინი თანამდებობის პირებთან ერთად „მუშაობენ“, რათა სახელმწიფო „მართონ“. თანამდებობის პირები ბავშვებს მუშაობის პროცესს განუმარტავენ და მათ შეკითხვებს პასუხს სცემენ.

ბავშვები თანამდებობის პირებს „ენაცვლებიან“

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვადასხვა ფერის თმა, კანი და თვალები აქვთ, მოკლე დროში ისინი დამეგობრებას ასწრებენ. ისინი ურთიერთობას თავ-თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების შემდეგაც აგრძელებენ.




ბავშვების ერთად ცეკვა



მეგობრობის გამოხატულება


- 6 საკუთარი თავი D სურათზე აღბეჭდილი ბავშვის ადგილზე წარმოიდგინეთ. რა გრძნობა დაგეუფლებოდათ? რა გადანწყვეტილების მიღებას ისურვებდით?
- 7 გამოთქვით თქვენი მოსაზრება E სურათის შესახებ.
- 8 რა აზრია გამოხატული F სურათზე აღბეჭდილი ბავშვების ქმედებაში?
- 9 ისურვებდით ბავშვთა დაცვის დღის ზეიმში მონაწილეობას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

სოციალური ცხოვრება არის გარემო, რომელშიც ადამიანები სხვა ადამიანებთან და ადამიანთა ჯგუფებთან ერთად ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.



საქმიანობა


- 1 როგორ გესმით ცნება „მსოფლიოს სოციალური იერსახე“?
- 2 რით განსხვავდება იგი „მსოფლიოს ბუნებრივი იერსახისგან“?
- 3 სურათების მიხედვით დათვალეთ სოციალური ცხოვრების კომპონენტები.
- 4 ჩამოთვალეთ სოციალური ცხოვრების მონაწილეები.
- 5 აღწერეთ ინდივიდების როლი სოციალურ ცხოვრებაში.



განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხანგრძლივად მცხოვრებ ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობა მყარდება. ადამიანთა ჯგუფს, რომელიც სხვადასხვაგვარი და მრავალრიცხოვანი კავშირებისგან შედგება, საზოგადოება ეწოდება.



- 6 აღწერეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის სოციალური იერსახის ძირითადი კომპონენტები.
- 7 შესაძლებელია თუ არა სოციალური ცხოვრება ადამიანთა შორის კავშირის გარეშე? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- 8 სურათების მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:
 - a) რომელ დასახლებულ პუნქტებშია მტკიცე სოციალური კავშირები?
 - b) შესაძლებელია თუ არა, რომ სოციალური ურთიერთობები ყველა სამუშაო ადგილზე ერთნაირი იყოს?
 - c) რომელ სამუშაო ადგილებზეა სოციალური კავშირები უფრო ძლიერი?
- 9 როგორ შეიძლება იმოქმედოს სოციალურმა კავშირებმა საზოგადოების განვითარებაზე?



ყოველი ადამიანი ინდივიდია. ინდივიდები ერთმანეთთან სოციალურ ურთიერთობებს ამყარებენ. ადამიანის სოციალური ცხოვრება ყალიბდება მისი ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, სკოლის ამხანაგებთან ურთიერთობით. თვით ის ხანმოკლე ურთიერთობაცა და კავშირიც, რომელიც უცნობ ინდივიდებთან მყარდება, სოციალური ცხოვრების ნაწილია. სოციალურ ცხოვრებაში ადამიანის ქმედება განსაზღვრავს მის მდგომარეობას. მაგალითად, პოლიტიკოსები, მენეჯერები, ორგანიზატორები ის ადამიანები ხდებიან, რომლებიც სოციალურ ცხოვრებაში უფრო აქტიურები არიან.

ინდივიდი და მისი გარემოცვა

სოციალური ცხოვრება არ არის ადამიანთა მხოლოდ პირადი და უშუალო ურთიერთობა. ის შეიძლება ბოლო წლებში ჩვენს ცხოვრებაში ფართოდ დაწერგილი ონლაინ კავშირითაც დამყარდეს. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ელექტრონული ფოსტით, ისე სოციალური ქსელებით, ვიდეო, აუდიო და სხვა საშუალებებით.



ონლაინ კავშირი


საქმიანობა

- 1 საკუთარ მაგალითზე აღწერეთ A სურათზე გამოსახული სქემა. ახსენით ცნებების „ოჯახი-საზოგადოება-სახელმწიფო“ ურთიერთკავშირი.
- 2 დაკვირდით B სურათს. ისურვებდით ონლაინ კავშირის დამყარებას თქვენს თანატოლთან რომელიმე კონტინენტიდან?
- 3 რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ონლაინ კავშირს?
- 4 ვისთან ატარებთ მეტ დროს: თანაკლასელებთან თუ ონლაინ მეგობრებთან? რატომ?




ინდივიდები ქმნიან საზოგადოებას.

ინდივიდი ბიოლოგიური არსებაა. ორი ერთნაირი ინდივიდი არ არსებობს. თუმცა მსგავსი ინდივიდების არსებობა შესაძლებელია. მაგალითად, როგორც არ უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს ტყუპები, მათ მაინც აქვთ განსხვავებული ნიშან-თვისებები. ინდივიდი ამავე დროს სოციალური არსებაცაა. მას აქვს სამეტყველო და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, მსჯელობის საშუალება, შემოქმედებითი შესაძლებლობები და სხვა თვისებები. ინდივიდი მოქალაქეა. იგი საკუთარი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია.



ურთიერთობა ინდივიდსა და საზოგადოებას შორის

ინდივიდი და საზოგადოება მჭიდრო კავშირში არიან. მათ შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. საზოგადოება დიდ როლს თამაშობს ინდივიდის ცხოვრებაში. ამავე დროს ინდივიდიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში.



თითოეულ ინდივიდს თავისი „გზა“ აქვს.

ინდივიდი მარტო ვერ იარსებებს. ის თავის ოჯახთან და ირგვლივ მყოფებთან ერთად ცხოვრობს. ამიტომ მას გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება. ინდივიდის პასუხისმგებლობის გრძნობა დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში მის მდგომარეობაზე. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც გაკვეთილზე აგვიანებს და ცუდად სწავლობს, უარყოფით გავლენას ახდენს კლასის საერთო აკადემიურ მოსწრებაზე. მოსწავლეს, რომელსაც ეს გაცნობიერებული აქვს, როგორც ინდივიდს, კლასში სხვების მიმართ პასუხისმგებლობა აკისრია. მაგალითად, თუ სკოლის საფეხბურთო გუნდის მეკარე უპასუხისმგებლოდ იქცევა და ვარჯიშებს აცდენს, ამით მისი, როგორც მეკარის, უნარ-ჩვევები სუსტდება. შედეგად, გუნდმა შეიძლება ძირითადი მატჩი წააგოს. თუ გუნდი მეკარის უპასუხისმგებლობის გამო დამარცხდება, მისი დანარჩენი წევრები მეკარის მიმართ ცუდად განწყობიან.

- 5 რა კომენტარს გაუკეთებდით C სურათს?
- 6 თუ ინდივიდებს თავისებური გზები აქვთ ცხოვრებაში (როგორც ეს D სურათზეა ნაჩვენები), შეიძლება თუ არა, ამან საზოგადოებისგან მათი იზოლაცია გამოიწვიოს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- 7 E სურათის მიხედვით უპასუხეთ, რომელ ჯგუფებთან ხართ დაკავშირებული.
- 8 რომელი ჯგუფების წინაშე გეკისრებათ პასუხისმგებლობა?



სოციალური ცხოვრება ოჯახიდან იწყება. ოჯახი საზოგადოების საფუძველია. ეს არის მცირე სოციალური ჯგუფი, რომელიც ქორწინების ან სისხლით ნათესაობის საფუძველზე ერთად ცხოვრობს. ყოველ ოჯახს თავისი ტრადიციები, საცხოვრებელი ადგილი და ბიუჯეტი აქვს. ოჯახში წესები და კანონები წერილობით არ რეგულირდება.

1900 წელი. აზერბაიჯანული ოჯახი შუშაში



აზერბაიჯანულ ოჯახს თავისებური თვისებები აქვს. ამ თვისებებს, პირველ, რიგში, ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების პატივისცემა, ტრადიციების დაცვა მიეკუთვნება. ნათესავებთან და მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება, ეროვნული დღესასწაულების ერთად აღნიშვნა – აი, იმ თვისებების ჩამონათვალი, რომელიც აზერბაიჯანულ ოჯახს ახასიათებს. მშობლებს ოჯახში საპატიო მდგომარეობა უკავიათ. ბებიებსა და ბაბუებს განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებიან. შვილებისთვის მაღალი დონის განათლების მიცემა აზერბაიჯანულ ოჯახებში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

თანამედროვე ოჯახის დასვენების დრო

დღესდღეობით აზერბაიჯანში 2 მილიონზე მეტი ოჯახია. თანამედროვე ოჯახები, უპირატესად, მცირერიცხოვანია. უმეტეს შემთხვევაში ორივე მშობელი დასაქმებულია. ოჯახის თითოეულ წევრს თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა აქვს. თითოეულ მათგანს, თავისი მოვალეობების სათანადოდ შესრულებით, საკუთარი წვლილი შეაქვს სოციალური ცხოვრების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის სასიკეთო საქმეში.

საქმიანობა

- 1 A სურათის მიხედვით აღწერეთ აზერბაიჯანული ოჯახის თავისებურებები.
- 2 B სურათის მიხედვით, რა შეგიძლიათ, თქვათ ოჯახის სოციალური საქმიანობის შესახებ?
- 3 რა მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ A და B სურათებს?
- 4 მომავალში როგორ წარმოგიდგენიათ აზერბაიჯანული ოჯახები?

თავი 7 მსოფლიო ჩვენი სახლია



C

ინდური ოჯახი

მსოფლიოს ქვეყნებში ოჯახური ურთიერთობები ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, ინდოეთში ოჯახური კულტურა ერთობლივ ოჯახურ სისტემას ეფუძნება. ერთობლივი ოჯახი არის ჯგუფი, რომელშიც სამი-ოთხი მრავალშვილიანი ოჯახი ერთ სახლში ცხოვრობს. ამ ერთობლივ ოჯახში შედიან ბებიები, ბაბუები, ბიძები, მამიდები და მათი შვილები, დები და ძმები.



D

გერმანული ოჯახი

გერმანული ოჯახური ტრადიციის თანახმად, ყოველი ოჯახი ცალკე სახლში უნდა ცხოვრობდეს. თანამედროვე გერმანული ოჯახები, ძირითადად, სოფლებში ან ქალაქების გარეუბნებში ცხოვრობენ, ქალაქში კი სამუშაოდ დადიან. ოჯახებში, უპირატესად, 1 ან 2 შვილია. 3 წლის ასაკიდან აუცილებელია ბავშვების საბავშვო ბაღებში მიღება. გერმანულ ოჯახებში 18 წლის მოზარდები უკვე დამოუკიდებლად ცდილობენ საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობის გარკვევას. ისინი თავიანთი ოჯახებისგან დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას. ეს მათი ცხოვრების წესზე ახდენს გავლენას.



- 5 C სურათის მიხედვით, აღწერეთ დიდი ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა.
- 6 D სურათის მიხედვით, აღწერეთ პატარა ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა.
- 7 ტექსტის გამოყენებით, განსაზღვრეთ C და D სურათებზე გამოსახული ოჯახების დადებითი და უარყოფითი თავისებურებები.
- 8 მომავალში რა პრობლემები შეიძლება წამოეჭრათ C და D სურათებზე გამოსახულ ოჯახებს?
- 9 მომავალში როგორ შეიძლება შეიცვალოს მსოფლიოში არსებული ოჯახების თავისებურებები დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.



A

ინდივიდების ერთობლიობა საზოგადოებას ქმნის. ამ ერთობლიობის ან კოლექტივების წარმოშობის სხვადასხვა ფორმა არსებობს: სკოლის კოლექტივი, შრომითი კოლექტივი, მეზობლები და ა.შ. სკოლის კოლექტივი ოჯახისა და სანათესაოსგან განსხვავებულია. კლასში ერთმანეთისთვის უცნობი ან ნაწილობრივ ნაცნობი, ერთი და იმავე ასაკის ინდივიდები არიან გაერთიანებული. სკოლაში სოციალური თანასწორობაა. ყველა მოსწავლეს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები აქვს.

მოსწავლეთა ზეიმი სკოლის ეზოში



B

კოლექციები და უნივერსიტეტები სკოლის მუშაობას აგრძელებს. უნივერსიტეტებს საზოგადოებაში უფრო დიდი როლი აქვთ. მათი ძირითადი ამოცანა სტუდენტთა პროფესიული უნარების განვითარებაა. სტუდენტს, რომელიც მაღალპროფესიულ უნარებს იძენს, მომავალი პროფესიული საქმიანობისას საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სტუდენტთა დასვენება უნივერსიტეტის ეზოში

საქმიანობა

- 1 A სურათისა და ტექსტის საფუძველზე აღწერეთ სოციალური ურთიერთობები სკოლის მოსწავლეებს შორის.
- 2 სკოლის გარეთ რა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით?
- 3 რას იტყოდით B სურათზე გამოსახული სოციალური ურთიერთობების შესახებ?
- 4 A და B სურათების მიხედვით შეადარეთ ადგილობრივი ჯგუფების საზოგადოებრივი ცხოვრება.



სამუშაო ვითარება



სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი მეტად აქტიური სივრცეა სამუშაო ადგილები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მომსახურებას სთავაზობს ისინი საზოგადოებას. აქ სხვადასხვა ვალდებულებისა და უფლებამოსილების მქონე ადამიანები არიან დასაქმებული. ასაკობრივი განსხვავებაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სოციალურ ცხოვრებაზე. გამოცდილი მუშაკების გვერდით ახალგაზრდა ადამიანების მუშაობა დადებითად მოქმედებს შრომით დისციპლინასა და მუშაობის ხარისხზე.

სამუშაო ადგილებზე თანამშრომლებს შორის არსებული ურთიერთობები კოლექტივის გაძლიერებაზე მოქმედებს, ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. თანამშრომლების განთლებისა და კვალიფიკაციის ურთიერთგანსხვავებული დონე მათ შორის მრავალნახნაგოვანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას განაპირობებს. სანარმოებში ასევე მოქმედებს პროფკავშირი, რომელიც მუშაკთა სოციალურ უფლებებს იცავს.

თანამშრომელთა დასვენების დრო

სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობა სამუშაო ადგილებზე სხვადასხვაგვარი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.



მრეწველობა – სამკერვალო ფაბრიკა



სოფლის მეურნეობა – მინათმოქმედება



მომსახურების სფერო – ტრანსპორტი

- 5 რა შეგიძლიათ, თქვით C და D სურათებზე გამოსახულ სამუშაო ადგილებზე არსებული სოციალური ურთიერთობების შესახებ?
- 6 როგორ შეუძლია E სურათზე აღბეჭდილ პროცესს, იმოქმედოს სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე?
- 7 რა შეიძლება ითქვას F სურათზე გამოსახულ სამუშაო გარემოში არსებულ სოციალურ ცხოვრებაზე?
- 8 როგორი სოციალური ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს G სურათზე გამოსახული მუშაობის პროცესში?
- 9 ერთმანეთს შეადარეთ E, F და G სურათებზე აღბეჭდილ სამუშაო ადგილებზე მომუშავე ინდივიდების სოციალური ცხოვრება.



საზღვრის ხაზი. სამეთვალყურეო კოშკი

კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ყველა ის ადამიანი, ვინც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ამ სახელმწიფოს მოქალაქედ ითვლება.

მოქალაქე – ადამიანი, ვისაც სახელმწიფომ, რომელშიც ცხოვრობს, გარკვეული უფლებები მიანიჭა. პირადობის მონმობა ადასტურებს მოქალაქის უფლებას, იცხოვროს ამ ქვეყანაში.

ემსახურო სახელმწიფოს – ყველა მოქალაქის მოვალეობაა. სახელმწიფო თითოეულ მოქალაქეს გარკვეულ მოვალეობას აკისრებს. მოქალაქის ძირითადი მოვალეობებია: კანონის დაცვა, ჯარში სამსახური, გადასახადების გადახდა, კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვა, ბუნების დაცვა, ზოგადი საშუალო განათლების მიღება და ა.შ. სახელმწიფოსაც აქვს გარკვეული მოვალეობები მოქალაქეთა წინაშე.

ერი სოციალური ერთობაა, რომელსაც საერთო თავისებურებები აქვს. ერებს მტკიცე კავშირი აერთიანებს. ერი შეგვიძლია ასევე ჩავთვალოთ დიდ ტერიტორიაზე განფენილ „ნათესავებად“. ერების უმეტესობამ საკუთარი სახელმწიფოები თავისივე განსახლებისა და გავრცელების ტერიტორიაზე შექმნა.

სახელმწიფო არის საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც ადამიანებმა შექმნეს. ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება ერთი ან რამდენიმე ერი ცხოვრობდეს. სახელმწიფო ქვეყანაში მიღებული წერილობითი კანონების საფუძველზე იმართება. იგი თავის თავზე იღებს გარკვეულ ვალდებულებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის სოციალური



ოჯახი

ინდივიდი

ერი

სახელმწიფო

საქმიანობა

- 1 აღწერეთ A გამოსახულების თავისებურებები და გამოთქვით მოსაზრება მოქალაქეთა სოციალურ ცხოვრებაში ამ თავისებურებების როლის შესახებ.
- 2 გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ერთი ერის არსებობის მიმართ.
- 3 გამოთქვით მოსაზრება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში რამდენიმე ერის არსებობის უპირატესობის შესახებ.
- 4 რა როლს ასრულებს ადამიანთა ცხოვრებაში B სურათზე გამოსახული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის პირადობის მონმობა?

კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. მას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს.

სახელმწიფო იცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს და სახელმწიფო ინტერესებს საერთაშორისო ირგანიზაციებში.



გამოსცემს კანონებს C



წარმოადგენს ერს D

სახელმწიფოს მოვალეობები



უწევს მომსახურებას E



უზრუნველყოფს უსაფრთხოებას F



კრებს გადასახადებს G

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალურ დაცვას, იხდის პენსიებსა და დახმარებებს ინვალიდობისთვის, ასევე უწევს სხვადასხვა მომსახურებას ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროებში.

სახელმწიფო იცავს თავის საზღვრებს და უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების უშიშროებას.

სახელმწიფო კრებს გადასახადებს მოქალაქეებისგან სახელმწიფო ბიუჯეტში მის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

- 5 გამოთქვით თქვენი მოსაზრება სახელმწიფოს ძირითადი კანონის – კონსტიტუციის – შესახებ, რომელიც C სურათზეა გამოსახული. რა მოხდებოდა საზოგადოებაში, კანონები რომ არ არსებობდეს?
- 6 D სურათზე გამოსახულია სახელმწიფოს მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში. რა მნიშვნელობა აქვს ამას?
- 7 რა სახის მომსახურებაა გამოსახული E სურათზე? რა მნიშვნელობა აქვს ამ მომსახურებას მოქალაქეებისთვის?
- 8 სახელმწიფოს რა ვალდებულებების შესრულებას ემსახურებიან F სურათზე აღბეჭდილი ადამიანები?
- 9 G სურათზე ხედავთ ბმსნ (გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი) მონომობას. თქვენი აზრით, რისთვის ეძლევათ ეს ციფრი გადასახადების გადამხდელს?
- 10 რა სარგებლობა აქვს სახელმწიფოსა და საზოგადოებას ბმსნ-ის მფლობელთა საქმიანობისგან?



ნოვრუზის სადღესასწაულო სუფრა

მესამე სამშაბათი ქარის სამშაბათია. ამ დღის შემდეგ ზოგიერთ ხეზე კვირტები იშლება და, ქარის წყალობით, მცენარეთა დამტვერვა ხდება. მეოთხე სამშაბათს ჰქვია ილაქირ ჩერშებნე – მიწის სამშაბათი. ამ სამშაბათის შემდეგ ადამიანები თესვას იწყებენ.

ნოვრუზი აზერბაიჯანელი ხალხის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია. აზერბაიჯანში ამ დღესასწაულისთვის მზადება ოთხი კვირით ადრე იწყება და ყოველ სამშაბათს აღინიშნება. ეზოებში კოცონს ანთებენ და მის გარშემო შეკრებილები საუბრობენ. სამშაბათები ბუნების ძირითადი კომპონენტების დანიშნულებას უკავშირდება. პირველ სამშაბათს წყლის სამშაბათი ჰქვია. წყლის სამშაბათი, ჩვეულებრივ, იმ დროს ემთხვევა, როცა ამინდი თბება, მდინარეებზე კი ყინული დნება და მდინარის წყალს ერევა. მეორე სამშაბათს ცეცხლის სამშაბათს უწოდებენ. ამ დღიდან დაწყებული, მზე უფრო ძლიერ ათბობს დედამიწას.



სადღესასწაულო ცეკვა

ნოვრუზი ჩვენი ქვეყნის საყვარელი დღესასწაულია. ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება, ტკბილეული მზადდება, ჯვჯილი ითესება. ყველა ერთმანეთს ულოცავს, ერთიმეორესთან სტუმრად მიდიან, საჩუქრებს ჩუქნიან, გაბუტულები რიგდებიან.

ნოვრუზის დღესასწაულზე ახალგაზრდობა და ბავშვები მხიარულობენ, ისეთ ადათ-წესებს ასრულებენ, როგორებიცაა „ქუდების აგდება“, „საბედოსთვის მკითხაობა“, „კვერცხების მტვრევა“, „იალის ცეკვა“, „კოცონზე გადახტომა“.



ნოვრუზის ერთ-ერთი ტრადიცია

საქმიანობა

- 1 რა მნიშვნელობა აქვს ნოვრუზის დღესასწაულს ჩვენი ხალხისთვის?
- 2 რა როლს ასრულებს ეს დღესასწაული ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში?
- 3 A სურათზე სადღესასწაულო სუფრაა გამოსახული. იმსჯელეთ სუფრაზე გამოტანილი კერძებისა და ტკბილეულის დანიშნულების შესახებ.
- 4 მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა B სურათზე გამოსახულ ჩვეულებაში? იმსჯელეთ ამ ჩვეულების მნიშვნელობის შესახებ.
- 5 რა ცეკვაა გამოსახული C სურათზე? შეაფასეთ ამ ცეკვის გავლენა ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაზე.
- 6 ტექსტში მოხსენიებულ რომელ გასართობში მიგიღიათ მონაწილეობა? რას გრძნობდით ამ დროს?

შეფასება

მარცხნივ მოცემული მტკიცებების თანახმად განსაზღვრეთ თქვენი, როგორც სოციალური ცხოვრების მონაწილის, როლი.

შესწავლილი


ინდივიდი – თავისებური თვისებების მქონე არსება.



ჩემი როლი

მე სპორტსმენი ვარ და სპორტულ შეჯიბრებებში ვმონაწილეობ

ოჯახი პატარა სახელმწიფოა.



სკოლის ამხანაგები – ერთი სკოლის მოსწავლეები.



ერი – საერთო თვისებებების მქონე სოციალური ჯგუფი.



სახელმწიფო – გარკვეულ საზღვრებში არსებული პოლიტიკური ორგანიზაცია.



7.2

ორგანიზაციის როლი საზოგადოების განვითარებაში

გაჯეითილის დაწყებამდე



A

1907 წელს ინგლისელმა ლორდმა რობერტ ბადენ-პაუელმა და ოცმა ბიჭმა დიდ ბრიტანეთში, ბრაუნსის კუნძულზე საზაფხულო ბანაკი დააარსეს. ბიჭების ასაკი 11-18 წელი იყო. პირველივე დღიდან ბანაკში მკაცრი წესები ამოქმედდა. ერთ-ერთ იმდროინდელ გაზეთში ამ ბიჭებს სკაუტებს (რაც ინგლისურიდან ითარგმნება, როგორ „მკვლევრები“) უწოდებდნენ.



პირველი სკაუტები



B

ბანაკში ისინი მეგობრობდნენ, ერთმანეთს სპეციალური ნიშნით ესალმებოდნენ, წაკითხულ წიგნებზე მსჯელობდნენ, ერთად სწავლობდნენ. სკაუტების მიზნი საკუთარი ქვეყნის განდიდება, სხვებზე ზრუნვა და სკაუტების კანონის დაცვა იყო.



სკაუტების მისალმების ნიშანი



C

ბიჭების ასეთ საქციელს საზოგადოება მიესალმებოდა. ბანაკმა სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა, წლების შემდეგ კი ეს სასიკეთო საქმე ახალგაზრდულ მოძრაობად იქცა. ეს მოძრაობა თავისი დაარსების მომენტიდან 300 მილიონზე მეტ წევრს ითვლის.



თანამედროვე სკაუტები

საქმიანობა

- 1 რა მიზეზს შეიძლება გამოეწვია სკაუტების მოძრაობის აღმოცენება და მისი ჩვენს დრომდე გაგრძელება?
- 2 შეადარეთ A და C სურათები და აღმოაჩინეთ მსგავსი და განმასხვავებელი თავისებურებები.
- 3 რით განსხვავდება სკაუტების მისალმება ჩვეულებრივი მისალმებისგან?
- 4 არიან თუ არა თქვენს თანატოლებს შორის სკაუტების მოძრაობის წევრები?
- 5 რა შეიძლება გამოხდარიყო სკაუტების მოძრაობის ერთი ქვეყნიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელების მიზეზი?



დღესდღეობით 57 მილიონზე მეტი ბავშვი, მოზარდი და ახალგაზრდა მოფლიოს სკაუტთა მოძრაობაში მოხალისედ მუშაობს. სკაუტები მოქმედებენ დევიზით „იყავი მზად!“

გააკეთე უკეთესად – სკაუტების ერთ-ერთი ლოზუნგი.



აზერბაიჯანის სკაუტების ასოციაცია (ასა) 1997 წელს დაფუძნდა. ასამ თავისი საქმიანობა სკაუტების მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის მიზნების, პრინციპების, კანონებისა და წესების შესაბამისად წარმართა.

ამჟამად აზერბაიჯანის სკაუტთა ასოციაცია 1700-ზე მეტ წევრს ითვლის.

აზერბაიჯანელი სკაუტები მონაწილეობენ უცხოეთის ქვეყნებში ჩატარებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ ღონისძიებებში, ბანაკებში, სასწავლო კურსებში, კონფერენციებსა და შეკრებებში.



აზერბაიჯანელი სკაუტები

სკაუტების გასეირნება

- 6 რა კავშირი შეიძლება იყოს ბავშვების მიერ შექმნილ ლოზუნგსა (სურათი D) F სურათს შორის?
- 7 თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს E სურათზე გამოსახული სიმბოლოები?
- 8 რა იცით პროექტ „მოსწავლის მეგობრის“ შესახებ? რა გავლენას ახდენს მოსწავლის მეგობარი“ მოსწავლეთა სოციალურ ცხოვრებაზე?
- 9 როგორ შექმნილით საკუთარ ორგანიზაციას?



სამუშაო ადგილები სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ერთ-ერთი ასეთი სამუშაო ადგილია მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტების საქმიანობა ყველა სფეროში აისახება. მუნიციპალიტეტები ტერიტორიის ადგილობრივი მმართველობის ფორმაა. მათ წევრებს მოსახლეობა ირჩევს. თავისი საქმიანობის ფარგლებში მუნიციპალიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა ტერიტორიაზე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე.



A



B



C



D

წყალგაყვანილობის მილების რემონტი

გზის რემონტი

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა

კეთილმონყოების სამუშაოები

მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით მუნიციპალიტეტები შემოსავლის სხვადასხვა წყაროს იყენებენ. ეს ძირითადად, ის გადასახადებია, რომლებსაც ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებს ახდევინებენ.



E



F



G



H

ფიზიკური პირებისგან ამოღებული გადასახადები

მარკეტების გადასახადები

ფასიანი ავტოსადგომებიდან ამოღებული გადასახადები

ტერიტორიაზე განთავსებული რეკლამის გადასახადები

საქმიანობა

- 1 მუნიციპალიტეტის რა საქმიანობას ხედავთ თქვენს საცხოვრებელ ტერიტორიაზე?
- 2 რა აერთიანებს A, B, C და D სურათებზე გამოსახულ საქმიანობათა სახეებს?
- 3 რა თავისებურება აკავშირებს ერთმანეთთან E, F, G და H სურათებს?
- 4 რა აკავშირებს E, F, G და H სურათებს A, B, C და D სურათებთან?
- 5 რომელი დღესასწაულების დროსაა მუნიციპალიტეტების მუშაობა უფრო თვალსაჩინო?
- 6 გყავთ თუ არა ნათესავები ან ნაცნობები, რომლებიც მუნიციპალიტეტში მუშაობენ? რა შეკითხვას დაუსვამდით მათ?



კომპანიები ისეთი სამუშაო ადგილებია, სადაც სოციალური კავშირები ძლიერია. კომპანია არის ორგანიზაცია, რომელსაც ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის და ასევე, სხვა ორგანიზაციის მიერაა შექმნილი. დაფუძნების მიზანი სამეწარმეო საქმიანობით დაკავებაა. მენარმე არის ინდივიდი, რომელიც ფიქრობს, სარგებელი მოუტანოს საკუთარ თავს, გარშემო მყოფებსა და სახელმწიფოს.

ერთ-ერთი ემბლემა, რომელიც კომპანიას ეკუთვნის

ამ მიზნით კომპანიები გამუდმებით მონაწილეობენ ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

ამ მიზნით კომპანიები იცავენ თავიანთი თანამშრომლების უფლებებს.

ეკოლოგიური პასუხისმგებლობა: კომპანიები სუფთა ენერჯის გამოყენებაზე უნდა მუშაობდნენ, არ აბინძურებდნენ ჰაერს, წყალს, ნიადაგს და ზიანი არ უნდა მოჰქონდეთ ცოცხალი სამყაროსთვის.

კომპანიებს სხვადასხვა კუთხით აკისრიათ პასუხისმგებლობა



პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დაცვაზე: კომპანიაში მომუშავე ან მის მახლობელად მცხოვრები ადამიანების უფლებები არ უნდა ირღვეოდეს.

ეკონომიკური პასუხისმგებლობა: წარმოებული პროდუქცია და განეული სამსახური უნდა იყოს ხარისხიანი, სახელმწიფო გადასახადები დროულად უნდა იქნეს გადახდილი.

სოციალური პასუხისმგებლობა: კომპანიამ საქველმოქმედო დახმარება უნდა გაუწიოს საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე სოციალურ დანესებულებებს (ბავშვთა სახლებს, მოხუცებულთა თავშესაფრებს და ა.შ.).

ამ მიზნით კომპანიები გამუდმებით თანამშრომლობენ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებთან.

ამ მიზნით კომპანიები სპორტულ შეჯიბრებებს, ფესტივალებს და სადღესასწაულო ზეიმებს ასპონსორებენ.

- 7 ახსენით, რა მნიშვნელობა აქვთ კომპანიებს სოციალური ცხოვრებისთვის.
- 8 აღწერეთ J სურათზე გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობა სოციალური ცხოვრების თვალსაზრისით.
- 9 ახსენით კომპანიების პასუხისმგებლობა J სურათზე.
- 10 განსაზღვრეთ კომპანიების პასუხისმგებლობის გავლენა J სურათზე გამოსახულ სოციალურ ცხოვრებაზე.
- 11 რა შეიძლება მოხდეს, თუ კომპანიები არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმ სფეროებში, რომლებზეც პასუხისმგებლობა აქვთ ნაკისრი?



კაცობრიობისთვის სასარგებლოა, რომ ადამიანები საერთო მიზნებით ერთიანდებოდნენ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ამყარებდნენ და მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ასეთ ორგანიზაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებს (აო) უწოდებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციის ემბლემა (NGO – ინგლ. Non Governmental Organization)

აო დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი ჯგუფებია. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების განვითარებაში. აო ძირითადად, სოციალურ მუშაობას ეწევიან, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დასაცავად იბრძვიან. როდესაც აო ყალიბდება, მისი მოღვაწეობის მიმართულება წესდებაში მიეთითება.

აო-ის მოღვაწეობის სფეროები

აო შეიძლება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებდეს. ამგვარი ორგანიზაციების უმეტესობის საქმიანობა, ანუ მათი მიზანი, სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი მომსახურების განწევაში გამოიხატება. სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისას ისინი უპირატესობას მშვიდობიან გზას ანიჭებენ. ზიგიერთი აო მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს. ეს, ძირითადად, ის ორგანიზაციებია, რომლებიც ერთსა და იმავე პრობლემაზე მუშაობენ და ერთსა და იმავე მოთხოვნებს აყენებენ.



აო-ის საპროტესტო აქცია გარემოს დაცვის საკითხზე

საქმიანობა

- 1 იმსჯელეთ, რას უნდა ნიშნავდეს A სურათზე გამოსახული აო-ის ემბლემა.
- 2 ახსენით აო-ის მნიშვნელობა საზოგადოების სოციალური ცხოვრებისთვის.
- 3 B სურათის მიხედვით აღწერეთ ცალკეული ინდივიდების საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით.
- 4 აღწერეთ სურათი C. რისი მიღწევა სურთ არასამთავრობო ორგანიზაციებს თავიანთი მშვიდობიანი პროტესტით?
- 5 ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობენ და ერთი და იმავე პრობლემის გადაწყვეტას ცდილობენ, უფრო სწრაფად აღწევენ თავიანთ მიზანს. როგორ ახსნიდით ამას?



ემბლემა „გრინპისი“



„გრინპისის“ წევრების საქმიანობის მიმართულებები

„გრინპისის“ წევრები გამოდიან იმ მენარმეების წინააღმდეგ, რომელთაც, მოგების მიღების მიზნით, ქიმიური პრეპარატების გამოყენებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი რაოდენობა მოჰყავთ. ისინი ადამიანებს მოუწოდებენ, უპირატესობა ნატურალურ პროდუქტებს მიანიჭონ.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციაა „გრინპისი“ (ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „მწვანე მშვიდობა“). ამ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 3,2 მილიონს აღემატება. იგი მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. *გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა, ალასკის სანაპიროსთან მდებარე პატარა კუნძულზე ბირთვული იარაღის გამოცდა ჩატარებინა. შეიქმნა საპროტესტო ჯგუფი, რათა შეეჩერებინათ ამ საშინელი იარაღის გამოცდის ჩატარება სეისმურად ასეთ საშიშ რაიონში. ჯგუფის წევრებმა მოუწოდეს საზოგადოებას და მალე მათ ათასობით ადამიანი შეუერთდა. საპროტესტო მოძრაობის შედეგად აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა, 1971 წელს შეენწყობა გამოცდა. სწორედ ეს წელი ითვლება „გრინპისის“ ჩამოყალიბების ოფიციალურ თარიღად.* ორგანიზაცია „გრინპისის“ მიზანია გარემოს დაცვა დედამიწაზე. ისინი ამ მიზნისთვის იბრძვიან. ბოლო წლებში „გრინპისის“ პლასტიკური მასების გამოყენებისა და ბუნებაში მათი გადანაყრების პრობლემა აღელვებს.



ქვეყნები, რომლებშიც „გრინპისი“ მოქმედებს

- 6 D სურათის მიხედვით, რისი თქმა შეგიძლიათ ამ „გრინპისის“ ემბლემის შესახებ?
- 7 E სურათის მიხედვით ახსენით „გრინპისის“ მიზნები.
- 8 F სურათზე მოცემული რუკასქემის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ კონტინენტზე უფრო მეტადაა გავრცელებული „გრინპისი“ და ახსენით, რატომ.
- 9 ამ თემის გაცნობამდე იცოდით თუ არა იმ ზიანის შესახებ, რომელსაც თქვენს სახლში გამოყენებული პლასტმასის კონტეინერები აყენებს გარემოს? პლასტმასის კონტეინერების ხელმეორედ გამოყენების რომელ საშუალებებს იცნობთ?
- 10 ისურვებდით მომავალში არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსებას? რა მიმართულებით ხედავთ იმ აშშ-ს საქმიანობას, რომლის დაარსებაც გასურთ?



A

ერთ-ერთი იმ წარმოებათაგანი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ აზერბაიჯანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახლავთ სახელმწიფო ნავთობის კომპანია SOCAR. SOCAR სახელმწიფო კომპანიაა, რომელიც ნავთობის მოპოვებით, ტრანსპორტირებით, გადამუშავებითა და გამოყენებითაა დაკავებული.



მენავთობეები მორიგეობისას

კომპანია SOCAR მარტო აზერბაიჯანში კი არა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობს. SOCAR-ის გასამართი სადგურები არსებობს შვეიცარიაში, ავსტრიაში, რუმინეთში, საქართველოში, თურქეთში, უკრაინაში და ა.შ. ამ სადგურებზე მომუშავეები აზერბაიჯანელები არიან.

ამჟამად SOCAR-ში ხუთი ათასამდე ადამიანი მუშაობს. მუშაკთა უსაფრთხოება და უფლებები დაცულია.

კომპანია აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის სოციალურ ღონისძიებებში. SOCAR-ის ამ საქმიანობას საზოგადოება მონონებით ხვდება.



B

SOCAR-ის გასამართი სადგური შვეიცარიაში



C

SOCAR-ის თანამშრომლები ეკოლოგიურ ღონისძიებაზე

საქმიანობა

- 1 აღწერეთ A სურათზე აღბეჭდილი მენავთობეების ჩაცმულობა და შრომის პირობები.
- 2 B სურათის მიხედვით აღწერეთ SOCAR-ის გასამართი სადგურის გარეგნული სახე უცხო ქვეყნებში.
- 3 შეაფასეთ SOCAR-ის როლი მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის წინსვლაში.
- 4 C სურათის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ პროექტში მონაწილეობენ SOCAR-ის თანამშრომლები, და ახსენით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ღონისძიება.
- 5 იმსჯელეთ ინფორმაციაზე SOCAR-ის სოციალური საქმიანობის შესახებ.

შეფასება

1 დაადგინეთ შესაბამისობა.

1. სოციალური პასუხისმგებლობა

a. კომპანია, გადასახადების გადახდის გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობს.


2. ეკონომიკური პასუხისმგებლობა

b. მონაწილეობს გამწვანების ღონისძიებებში.

3. ეკოლოგიური პასუხისმგებლობა

c. კომპანია სადღესასწაულო ზეიმებს ასპონსორებს.

2 იპოვეთ სკაუტების მისაღმების ნიშანი.



3 მონაწევრთა დებატები. დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელეთ თემაზე.

თემა

მნიშვნელოვანია თუ არა სოციალური კავშირები?

მომხრეების ჯგუფი	მონინააღმდეგეების ჯგუფი	ექსპერტთა ჯგუფი
<ul style="list-style-type: none"> • სოციალური ურთიერთობები პასუხისმგებლობის გრძნობას აყალიბებს. • სოციალური ურთიერთობები საზოგადოებაში ნორმებსა და სტანდარტებს ამკვიდრებს. 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანს სოციალური კავშირების გარეშე უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობა. • აუცილებელი არ არის საზოგადოების სამართავად ნორმების დანერგვა. 	<p>შეირჩევა ექსპერტთა ჯგუფი 3-5 მოსწავლის შემადგენლობით. ეს მოსწავლეები არც ერთ სხვა ჯგუფში არ შედიან. განისაზღვრება, რომელი ჯგუფის არგუმენტები უფრო დამაჯერებელია.</p>
<p>თითოეულ ჯგუფს, თავისი პოზიციის გასამყარებლად, დამატებითი არგუმენტების მოყვანა შეუძლია.</p>		

7.3

ლოკალური და გლობალური კავშირები

გაქვეთილის დაწყებამდე


ტელეფონის (ბერძნულიდან „ტელე“ – „შორეული“ და „ფონ“ – „ხმა“) აპარატის პირველი გამოცდისას კავშირი არა დაშორებულ ადგილებს, არამედ ორ მეზობელ ოთახს შორის იყო დამყარებული. ეს მოწყობილობა 1876 წელს ალექსანდრ გრეჰემ ბელმა გამოიგონა.



B



C



მართალია, ტელეფონის პირველი აპარატი, თავისი სტრუქტურითა და შესაძლებლობებით, ძლიერ განსხვავდებოდა თანამედროვე აპარატებისგან, მაგრამ იმ დროისთვის ის, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის ახალი საშუალება, დიდი ტექნოლოგიური ნახტომი იყო. დროთა განმავლობაში საზოგადოების მოთხოვნები გაიზარდა, ხოლო შორ მანძილზე ურთიერთობის მსურველებმა მოიმატეს. 1930 წელს ევროპაში პირველი ვიდეოკამერიანი აპარატები შეიქმნა. ამ მოწყობილობების შორ მანძილზე გამოყენება არ შეიძლებოდა, რადგან ისინი ერთმანეთს ორმაგი კაბელით უერთდებოდა. კონტინენტთაშორის კავშირებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამგვარი მოწყობილობების რაოდენობაც და შესაძლებლობებაც საკმაოდ შეზღუდული გახლდათ.

ვიდეოტელეფონის ერთ-ერთი პირველი ნიმუში

მობილური ტელეფონი პირველად 1973 წელს წარმოადგინეს. მოტოროლას წარმოების ეს ორკილოგრამიანი აპარატი ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ადამიანებს აძლევდა ურთიერთობის საშუალებას. ამ მოვლენით დაიწყო ახალი ეტაპი საზოგადოებაში სოციალური კავშირების განვითარებაში.

პირველი მობილური ტელეფონი

საქმიანობა

- 1 1876 წლამდე როგორ უკავშირდებოდნენ ადამიანები ერთმანეთს?
- 2 რა გავლენა მოახდინეს A სურათზე გამოსახულმა კაბელიანმა ტელეფონებმა ადამიანებს შორის კავშირის დამყარებაზე?
- 3 რა კავშირს ხედავთ პირველი ტელეფონების გამოჩენასა და ტექნოლოგიების განვითარებას შორის?
- 4 სოციალური კავშირის თვალსაზრისით, რა ღირსებები და ნაკლოვანებები ჰქონდა B სურათზე გამოსახულ ტელეფონს?
- 5 იმსჯელეთ C სურათზე გამოსახული პირველი მობილური ტელეფონის მნიშვნელობის შესახებ სოციალური კავშირების თვალსაზრისით.

თანამედროვე პერიოდში მობილური ტელეფონები სწრაფი ტემპით იხვეწება. დღესდღეობით მსოფლიოში 5 მილიარდზე მეტი მობილური ტელეფონი და 2 მილიარდზე მეტი ინტერნეტმომხმარებელია.



მობილური ტელეფონები კონტინენტებს შორის მყისიერი კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა და ინფორმაციის სწრაფად გადაცემას უზრუნველყოფს. ამის წყალობით შეგვიძლია, ნებისმიერ მომენტში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების კურსში ვიყოთ.



ცვლილებები, რომლებიც თანამედროვე მობილურმა ტელეფონებმა კომერციაში შეიტანა.

თანამედროვე ტელეფონების შესაძლებლობები კონტინენტთაშორის კავშირში.


ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათ შორის, მობილური ტელეფონების, სწრაფმა განვითარებამ ბიძგი მისცა ახალ ეტაპს სავაჭრო კავშირებისა და ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობების გაფართოებაში. ამჟამად მობილური ტელეფონები ამ პროცესის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მობილური აპლიკაციების მეშვეობით, რომლებიც თანამედროვე სმარტფონებზეა დაყენებული, სასურველი შედეგის მინიმალურ დროში მიღებაა შესაძლებელი.

დღესდღეობით საქონლის შექმნა მობილურ აპლიკაციებში შემდეგნაირად ხდება:

- ვირჩევთ და მოვნიშნავთ სასურველ პროდუქტს;
- არჩეულ პროდუქტს ვამატებთ „კალათაში“;
- საქონლის ღირებულებას ვიხდით ინტერნეტბანკინგისა და ონლაინ გადახდის სხვა საშუალებებით;
- არჩეული საქონლის ადგილმდებარეობას თვალს ვადევნებთ სატრანსპორტო საშუალებებში მათი ჩატვირთვის მომენტიდან მითითებულ მისამართზე მიტანამდე;
- საქონელი მიიტანება შესაბამის მისამართზე.

როგორც ხედავთ, სახლიდან გაუსვლელად და დროის დაუკარგავად ნებისმიერი საქონლის შექმნა და სახლში მოტანა შეიძლება.

- 6 D სურათის მიხედვით იმჯგულებით მობილური ტელეფონების ესოდენ სწრაფი ცვლილების მიზეზებზე.
- 7 D სურათზე ნაჩვენები ლოგოკით, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მომავლის მობილური ტელეფონები?
- 8 F სურათზე მოცემული სქემის საფუძველზე გამოხატეთ თქვენი მოსაზრება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე სმარტფონების გავლენის შესახებ.
- 9 E სურათის მიხედვით აღწერეთ მობილური ტელეფონების როლი სავაჭრო ურთიერთობებში.
- 10 აღწერეთ, რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის E სურათზე მოცემულ გამოსახულებას.
- 11 როგორ წარმოგიდგენიათ საშუალებები, რომლებსაც 50 წლის შემდეგ საზოგადოებაში კავშირის დასამყარებლად გამოიყენებენ?



A

იმ ადგილებს შორის, რომლებსაც ადამიანი ვერასოდეს დაივიწყებს, ერთ-ერთია სკოლა – სკოლა, რომელშიც ის სწავლობდა, მისი თანაკლასელები, ახლო მეგობრები, მეზობლები და მასწავლებლები, რომლებიც მას ასწავლიდნენ. სწავლასთან ერთად, ადამიანი სკოლაში იძენს თავისი აზრებისა და იდეების თავისუფლად გამოხატვის უნარს, სწავლობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობას. თითოეულ ადამიანს საზოგადოებაში განსაზღვრული მოვალეობები აქვს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობის მოვალეობაა. მოვალეობები ის არის, რაც ადამიანმა უნდა შეასრულოს. მოქალაქეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე არსებული **სოციალური, ეკოლოგიური, კულტურული** და სხვა პრობლემების გამო.



B



C



D




E

საქმიანობა

- 1 რა ინფორმაციის მოყოლა შეგიძლიათ თქვენი საცხოვრებელი ადგილის ისტორიის შესახებ?
- 2 რას ნიშნავს თქვენი საცხოვრებელი ადგილის (სოფლის, ქალაქის, დასახლების) სახელწოდება?
- 3 რა შეგიძლიათ, თქვათ თქვენი გენეალოგიის შესახებ? A სურათის მიხედვით და თქვენი ოჯახის უფროსი წევრების დახმარებით, დახატეთ თქვენი გენეალოგიური ხე. გაიგეთ იმის ისტორია, თუ როგორ იცვლებოდა თქვენი გენეალოგია ადგილმდებარეობის მიხედვით.
- 4 რომელი კოლექტივია ალბეჭდილი B სურათზე? კიდევ რომელ კოლექტივებში მონაწილეობთ თქვენ?
- 5 C სურათის მიხედვით ჩამოთვალეთ ადამიანთა სოციალური მოვალეობები.
- 6 D სურათის გამოყენებით ახსენით ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.
- 7 E სურათის მიხედვით აღწერეთ კულტურული საქმიანობის როლი საზოგადოების განვითარებაში.

ყოველ ინდივიდს აქვს მოვალეობები არა მარტო საკუთარი ოჯახის, სკოლის ან შრომითი კოლექტივის, არამედ იმ ქვეყნის წინაშე, რომლის მოქალაქეცაა იგი. ჩვენ, როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეებს, გარკვეული მოვალეობები გაგვაჩნია. მაგალითად:

- აზერბაიჯანის კონსტიტუციისა და კანონების დაცვა;
- სახელმწიფოს სიმბოლოების (დროშის, ღერბის, ჰიმნის) პატივისცემა;
- სამშობლოს ერთულების გამოვლენა და ა.შ.



თითოეული მოქალაქე მხარს უნდა უჭერდეს სახელმწიფოს აზერბაიჯანის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვაში.

აზერბაიჯანული ენა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენაა. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა.

ის პატივს უნდა სცემდეს ადგილობრივ კანონებს, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს, თუ უცხო ქვეყანაში ცხოვრობს, და დაიცვას ეს კანონები.



ამჟამად აზერბაიჯანელები მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში ცხოვრობენ. მართალია, ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელშიც ცხოვრობენ, მაგრამ აზერბაიჯანულ ენაზე ლაპარაკობენ და ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს იცავენ. ამ ქვეყნებში ჩვენი თანამემამულეები მუშაობენ ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, სამშობლოს წინსვლას, მსოფლიოს წინაშე აზერბაიჯანის წარმოჩენას ემსახურება. აზერბაიჯანელი სტუდენტები, რომლებიც საზღვარგარეთ იღებენ განათლებას, აქტიურად მონაწილეობენ ამ ღონისძიებებში.

- 8 F სურათის მიხედვით აღწერეთ აზერბაიჯანელი მოქალაქის პასუხისმგებლობა.
- 9 G სურათზე უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრები აზერბაიჯანელები არიან ალბეჭდილი. მათთან როგორი ურთიერთობის დამყარება შეუძლიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს?
- 10 გყავთ თუ არა საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავები ან ნაცნობები? ესაუბრეთ იმ ქვეყნის ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრების წესისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ. დაუსვით იმ ადამიანებს შემდეგი კითხვები:
 - a) როგორ წარმოადგენენ ისინი აზერბაიჯანს თავიანთ ქვეყანაში?
 - b) როგორ მონაწილეობენ ამ პროცესში?
- 11 რა თვისებებს უნდა ფლობდეთ, რომ აზერბაიჯანი საზღვარგარეთ ღირსეულად წარმოაჩინოთ?



A

დამოუკიდებელი თურქული სახელმწიფოები

ქეთის თურქები, აზერბაიჯანის თურქები, ყაზახები, უზბეკები, თურქმენები, ყირგიზები, თათრები, ბაშკირები, უიღურები, გაგაუზები, ალტაელები, ყირიმელი თათრები, ახისკა-თურქები და სხვ.



B

თურქების განსახლების ტერიტორიები


ყოველ ადამიანს, თავის მოქალაქეობრივ პოზიციასთან ერთად, ეროვნული პასუხისმგებლობაც გააჩნია. ეროვნული პასუხისმგებლობა ნიშნავს იმ ერის ინტერესების დაცვას, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის. ერი არის საზოგადოება, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს, ერთ სივრცეში ცხოვრობს, საერთო ისტორიული წარსული და ტრადიციები აქვს. თურქულენოვანი ხალხები – დიდი ოჯახია მსოფლიოში. მათ თურქთა კავშირი შექმნეს. თურქთა კავშირს აზიასა და ევროპაში დიდი სივრცე უკავია. 12 მლნ. კვ.კმ ფართობის ტერიტორიაზე ამჟამად 200 მლნ. ადამიანი ცხოვრობს. ისინი სხვადასხვა სახელით არიან ცნობილი: თურ-

დამოუკიდებელი თურქული სახელმწიფოები	თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი
თურქული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებში	თათარისტანი, ბაშკიროსტანი, ჩუვაშეთი, სახა, ხაკასეთი, ტივა, ალტაი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, სინცზიანი, უიღურია, გაგაუზია
ადგილობრივი თურქული ხალხები	ახისკა-თურქები, ყირიმელი თათრები, ყარაიმები, შორები, კუმანდინლები, ტელეუტები, ტობალარები, ჩელკანები, თურქმენები, ირანელი თურქები (აზერბაიჯანელები), ყიზილბაშები, აფშარები და სხვები

საქმიანობა

- 1 A სურათისა და ცხრილის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

 - a) ჩამოთვალეთ დამოუკიდებელი თურქული სახელმწიფოები.
 - b) რა ჯგუფებად შეიძლება დაეყოთ თურქული სახელმწიფოები მათი მდებარეობის მიხედვით?
 - c) რუკის მიხედვით განსაზღვრეთ ტერიტორიის მხრივ ყველაზე დიდი თურქული სახელმწიფო.
 - d) რომელ თურქულ სახელმწიფოს აქვს სამი მხრიდან საზღვაო საზღვარი?
 - e) რომელი თურქული სახელმწიფოები ესაზღვრება ერთმანეთს?
 - f) რომელ თურქულ სახელმწიფოს აქვს კასპიის ზღვაზე გასასვლელი?
- 2 B სურათისა და ცხრილის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ სახელმწიფოებში ცხოვრობენ ძირძველი თურქები?



C

თსმ-ს დროშა

თურქები თავიანთი ისტორიული ტრადიციების ერთგულნი არიან. ისინი ერთად ატარებენ სახალხო ზეიმებსა და ეროვნულ დღესასწაულებს. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულია საძოვრების ეროვნული ფესტივალი (იაილაგი). ფესტივალი ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება. ყოველწლიურად, ზაფხულის დასასრულს თურქულენოვანი ხალხების ასეულობით წარმომადგენელი ერთად იკრიბება, რათა შეინარჩუნონ ტრადიციები და მათ შორის, იაილაგის ტრადიცია. ისინი მეგობრულ შეჯიბრებებს აწყობენ და თავისებური კერძების დემონსტრირებას ახდენენ.



D

იაილაგის ეროვნული ფესტივალი

ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი ეროვნული სპორტული თამაშების აღდგენა და მსოფლიოსთვის მათ გაცნობაა. მათგან ერთ-ერთია ცხენოსანთა ათასწლოვანი ასპარეზობა ჩოვგანში. ფესტივალზე უამრავ სტუმარსა და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტს ეპატიჟებიან, რათა აჩვენონ ამგვარი შეჯიბრებები ყარაბაღული ცხენების მონაწილეობით.



E

შეჯიბრება ჩოვგანში

- 3 გამოიყენეთ A და C სურათები და უპასუხეთ კითხვებს:
 - a) რომელი თურქული სახელმწიფოს დროშიდანაა აღებული დროშის ფერი?
 - b) რომელ ქვეყანას წარმოადგენს მზის სიმბოლო დროშაზე?
 - c) აღწერეთ აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და თურქეთის „კვალი“ თსმ-ის დროშაზე.
- 4 აღწერეთ D სურათზე გამოსახული იაილაგის ეროვნული ფესტივალის უნიკალურობა.
- 5 E სურათისა და ტექსტის მიხედვით გამოიკვლიეთ ჩოვგანის შეჯიბრის არსი.
- 6 რაში მდგომარეობს თურქული კავშირის განმტკიცების მნიშვნელობა?



გლობალური მოქალაქეობრივი აზროვნება

განათლება დიდ როლს თამაშობს გლობალური მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში. მაგალითად, თუკი მსოფლის ყველა ქვეყნის განათლების შინაარსი იქნება ერთნაირი, მაშინ საერთო ღირებულებები ჩამოყალიბდება:

- ქალებსა და კაცებს ერთნაირი უფლებები აქვთ;
- არასწორია ადამიანების დაყოფა რასის მიხედვით;
- ბუნებრივი რესურსები ეკონომიურად უნდა გამოვიყენოთ, რათა მათით სარგებლობა მომავალმა თაობებმაც შეძლონ;
- გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ადგილობრივი ტერიტორიებით უნდა დავიწყოთ.

მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანები მშვიდობიან, მშვიდ, მეგობრულ გარემოში ცხოვრების მაღალი დონის მიღწევისკენ მიისწრაფოდნენ. ყოველი ინდივიდი, რომელსაც თავისი ოჯახი, ხალხი და სახელმწიფო უყვარს, საკუთარი პრობლემების მოგვარების გზას, პირველ რიგში, მსოფლიოს პრობლემების მოგვარებაში ხედავს. ასეთი ადამიანები თავს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებად კი არა, საერთაშორისო ერთობის წარმომადგენლებად მიიჩნევენ. პრობლემების მათეული ხედვა გეოგრაფიული რაიონებითა და საზღვრებით კი არ შემოიფარგლება, არამედ უფრო გლობალურ მასშტაბზე – უნივერსალურ დონეზე გადის. ეს „მსოფლიოს მოქალაქეობის“, ანუ „გლობალური მოქალაქეობის“ პოზიციაა. მოქალაქეობა და გლობალური მოქალაქეობა კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს.

გლობალური მოქალაქე თავს რომელიმე სახელმწიფოს ან ერის კუთვნილებად არ თვლის. მას სპეციალური პასპორტი ან ოფიციალური ნოდება არ აქვს. „მსოფლიოს მოქალაქეები“ ფიქრობენ მიმდინარე პრობლემებზე მსოფლიო მასშტაბით და მათი გადაწყვეტისთვის იბრძვიან. ამგვარი მიდგომით „მსოფლიოს მოქალაქეები“, ფაქტიურად, მთელ რეგიონს, სახელმწიფოსა და ოჯახს ემსახურებიან.

გლობალური პრობლემები, რომლებიც „გლობალურ მოქალაქეებს“ აღელვებს, შეიძლება 4 ჯგუფად დაიყოს. ეს გახლავთ **სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ეკოლოგიური** პრობლემები.



პრობლემები, რომლებიც „მსოფლიოს მოქალაქეს“ აწუხებს.

საქმიანობა

- 1 აღწერეთ A სურათის მნიშვნელობა მსოფლიოს მოქალაქეობისთვის.
- 2 ტექსტისა და სურათების საფუძველზე გამოხატეთ თქვენი მოსაზრება „მსოფლიოს მოქალაქის“ ძირითადი უნარების შესახებ.
- 3 B სურათის მიხედვით ჩამოთვალეთ „მსოფლიოს მოქალაქის“ მოვალეობები.
- 4 თვლით თუ არა საკუთარ თავს „მსოფლიოს მოქალაქედ“?

ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში იზრდება ე.წ. „ციფრული მოქალაქეობის“ როლი. ციფრული მოქალაქეობა ვირტუალურ სივრცეში ციფრული რესურსების პასუხისმგებლობიან და უსაფრთხო გამოყენებას გულისხმობს.



ციფრული მოქალაქეობის შესაძლებლობები

ციფრული მოქალაქეობა ყველა სფეროში ვლინდება – მეცნიერებაში, კულტურაში, ეკონომიკაში, ვაჭრობაში, კავშირგაბმულობაში, საბანკო-საფინანსო საქმიანობაში, ბუნების დაცვაში და ა.შ.



ციფრული მოქალაქეობის სოციალური ურთიერთობები

ციფრული მოქალაქეობა XXI საუკუნის მოთხოვნაა. ეს ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ციფრული მოქალაქეობა მსოფლიო მოქალაქეობისკენ მიმავალი გზის ეტაპია. იგი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს საერთო კავშირების დამყარებასა და ერთობლივი საქმიანობის რეგულირებაში ეხმარება, ურთიერთპატივისცემასა და კულტურულ გარემოს ქმნის.



ციფრული მოქალაქეობა და ვაჭრობა

ციფრული მოქალაქეობა გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. ვირტუალურ სივრცეში თავს იჩენს უკანონო ატივითვები, სავაჭრო თაღლითობა, არალეგალური თამაშები, ვირუსები, პლაგიატი, გატეხა და სხვ. მათგან თავდასაცავად ძალზე მნიშვნელოვანია ციფრულ წიგნიერებაზე ზრუნვა.




ციფრული მოქალაქეობის საფრთხის სიგნალი

- 5 C სურათის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ სფეროებს მოიცავს ციფრული მოქალაქეობა.
- 6 ციფრული მოქალაქეობის რომელი ელემენტია წარმოდგენილი D სურათზე?
- 7 E სურათის მიხედვით ჩამოთვალეთ ციფრული მოქალაქეობის სოციალური საშუალებები.
- 8 ტექსტისა და F სურათის საფუძველზე სოციალური თვალსაზრისით დაავჯუფეთ ციფრული საფრთხეები და გამოთქვით მოსაზრება მათგან თავდაცვის საშუალებების შესახებ.



აზერბაიჯანის რესპუბლიკას მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობასთან ფართო ეკონომიკური და კულტურული კავშირი აქვს დამყარებული. ამჟამად აზერბაიჯანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 117 ქვეყანასთან. დიპლომატიური ურთიერთობა პოლიტიკურ ურთიერთობებს მიეკუთვნება და მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნებში არის საელჩოები, საკონსულოები ან წარმომადგენლობები.

ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყანაში შეტანილ-გამოტანილი საქონლისა და პროდუქტების რაოდენობით გამოიხატება. B დიაგრამაზე ნაჩვენებია ქვეყნები, რომლებსაც 2023 წელს აზერბაიჯანთან ყველაზე ინტენსიური ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ. რადგან აზერბაიჯანი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარეობს, ჩვენს ეროვნულ კულტურაში აღმოსავლური და დასავლური კულტურა ერთმანეთს ერწყმის. ამიტომ აზერბაიჯანული კულტურა მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში მიღებულია. ეს კულტურული კავშირების განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა.



საქმიანობა

1 ქვემოთ მოცემულ ცხრილში დააჯგუფეთ ქვეყნები A რუკასქემაზე მითითებული ნიშნების მიხედვით.

ქვეყნები, რომლებშიც საელჩოცაა და საკონსულოც	ქვეყნები, რომლებშიც საელჩოა
---	-----------------------------

2 ქვემოთ მოცემულ ცხრილში დააჯგუფეთ ქვეყნები A დიაგრამის მიხედვით:

ქვეყნები, რომლებშიც მეტი პროდუქცია ექსპორტირდება	ქვეყნები, რომლებიდანაც მეტი პროდუქცია იმპორტირდება
--	--

შეფასება

საველე კვლევა საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად

საკვლევი კითხვა

რა უნდა გავაკეთოთ, რომ მსოფლიო დავიცვათ?

კვლევის გეგმა

ანკეტის შემუშავება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის გამოკითხვის ჩატარების მიზნით.



ინფორმაციის შეკრება

ჯგუფთან ერთად შეიმუშავეთ შეკითხვები ანკეტური გამოკითხვისთვის.

- 1.
- 2.
- 3.



ინფორმაციის ანალიზი

განაზოგადეთ ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები.



კვლევის შედეგების პრეზენტაცია

განაზოგადებული შედეგების საფუძველზე მოამზადეთ სლაიდები.



პროექტი

* პროექტის განსახორციელებლად დაიყავით ჯგუფებად. დაასახელეთ თქვენი ჯგუფი. მოამზადეთ დავალებები ჯგუფის წევრებისთვის. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ლიდერად აირჩიეთ.

1. ჩამოთვალეთ სოციალური ცხოვრების მონაწილეები.

2. განსაზღვრეთ ცარიელი ჩარჩოების შესბამისი სიტყვები.

მოქალაქეობის მოვალეობები



3. განსაზღვრეთ სურათების დანიშნულება და შეადარეთ მათ შორის განსხვავება.



4. დააჯგუფეთ მოცემული მტკიცებები იმის მიხედვით, კომპანიას (I) ეკუთვნის ისინი თუ არასამთავრობო ორგანიზაციას (II).

1. მისი მიზანი მოგების მიღება არ არის. 2. მუშაობს პროდუქციის წარმოების ან მომსახურების განვითარების მიმართულებით. 3. ეწევა სოციალურად ორიენტირებულ მუშაობას და ეხმარება ადამიანებს. 4. ნებაყოფლობით შეკრული ჯგუფია. 5. სახელმწიფოს გადასახადებს უხდის. 6. პასუხისმგებელია გარემოს დაცვაზე.

I. _____ II. _____

5. „ეს ის ადამიანებია, რომლებიც მსოფლიოს პრობლემებზე ფიქრობენ და მათ გადასჭრელად იბრძვიან. ფაქტობრივად, ეს ადამიანები ემსახურებიან თავიანთ რეგიონს, სახელმწიფოს და ოჯახს“ ვის შესახებაა ეს გამონათქვამი?

6. დაალაგეთ მოცემული სიტყვები ლოგიკურ რიგში:

1. ერი 2. ინდივიდი 3. სახელმწიფო 4. ოჯახი
5. თანამშრომელი 6. თანაკლასელი 7. მსოფლიოს მოქალაქე 8. მეზობელი

7. განსაზღვრეთ მოცემული გამოსახულებების მნიშვნელობა და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1. _____ 2. _____ 3. _____ 4. _____



ლექსიკონი

ატმოსფერო

ჰაეროვანი გარსი, რომელიც გარს აკრავს დედამიწას. ატმოსფერო სხვადასხვა ფენისგან შედგება.



არასამათავრობო ორგანიზაცია (აო)

ორგანიზაცია, რომელიც თავის საზღვარგარეთელ თანამოაზრეებთან ერთად, საერთო მიზნით მუშაობს. ასეთი ორგანიზაციების მუშაობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები არ გამოიყოფა. მათ, ძირითადად, მოხალისეები აფინანსებენ. აო მონაწილეობენ ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვაში, კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებში.

ბიოსფერო

გარსი დედამიწაზე, რომელშიც ცოცხალი არსებები ბინადრობენ.



ბუნება

მსხვილი მასშტაბით, ეს არის დედამიწა, ხოლო ლოკალური მასშტაბით – გარემომცველი გარემო. ბუნების კომპონენტები – მთები, ვაკეები, ტყეები, ტბები, მდინარეები, ცხოველთა სამყარო და ჰაერი – ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.



ბუნებრივი სისტემა

ამინდის პირობების, წყლის, ნიადაგის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ურთიერთ-კავშირი გარემოში.



გლობალური მოქალაქეობა

ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ მსოფლიოში არსებულ ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვ. პრობლემებზე და იბრძვიან ამ პრობლემების გადასაჭრელად.



ერი


სოციალური ერთობა ადამიანებისა, რომელთაც საერთო თავისებურებები (ენა, მორალი, ტრადიციები, ისტორიული წარსული, ტერიტორია და ა.შ.) აქვთ.

თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია (თსო)

დაარსდა 2009 წელს. წარმოადგენს თურქულენოვანი სახელმწიფოების ერთობას. მის შემადგენლობაში 6 დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფო შედის.

კვებითი ჯაჭვი

ბიოსფეროს ბუნებრივ კომპონენტებს შორის კავშირის უწყვეტი



პროცესი. მცენარეული მასა არის საკვები ბალახისმჭამელთათვის, მტაცებლები იკვებებიან ბალახისმჭამელებით, მიკრო-ორგანიზმები კი შლიან ცხოველური ორგანიზმების ნაშთებს და ურევენ მათ მთის ქანებში, რითაც ნიადაგს ქმნიან. ნიადაგ ნაყოფიერ პირობებს ქმნის მცენარეული საფარველის განვითარებისთვის.

კლასის კოლექტივი

ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც შექმნილია ცოდნისა და უნარების შესაძენად მეცნიერებისა და განათლების სხვადასხვა სფეროში.




კომპანია

ორგანიზაცია, რომელიც ერთი ან რამდენიმე პირის მიერაა შექმნილი. მისი მიზანია სამენარმეო საქმიანობით დაკავება. კომპანიები შეიძლება იყოს სპეციალიზებული წარმოების, მშენებლობის, მომსახურების, ტურიზმისა და სხვა სფეროებში.

ლიტოსფერო

დედამიწის მყარი გარსი. ამ გარსში შედის მთები, ვაკეები, მთის ქანები.



მდინარე

წყლის დინება ხეობის გასწვრივ არსებულ კალაპოტში, დახრილი რელიეფის პირობებში. მდინარე საკუთარ ხეობას ქმნის.



მთის ქანი

მიწის ზედა ფენა წარმოადგენს მყარ ნივთიერებას, რომელიც ბუნებრივი მინერალებისგანაა შექმნილი. მთის ქანების შემადგენლობაში მსხვილი კლდეებიც შედის და პატარ-პატარა ნამტვრევებიც.



მსოფლიო ოკეანე

უზარმაზარი წყლიანი აუზი, რომელიც დედამიწას აკრავს გარს. მსოფლიო ოკეანის შემადგენლობაში ხუთი ოკეანე შედის და ყველა მათგანი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მსოფლიოს სოციალური იერსახე

გარემო, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, ურთიერთკავშირშია ინდივიდებთან და იმ ორგანიზაციებთან, რომლებშიც ეს ინდივიდები არიან დასაქმებული.



მომსახურების სფერო

მოიცავს მოსახლეობისთვის განეული მომსახურების სახეებს და პროდუქციის წარმოებას. ამ



დარგების გარეშე სხვა დარგების განვითარება შეუძლებელია. არსებობს მომსახურების ისეთი სფეროები, როგორებიცაა სატრანსპორტო გადაზიდვები, ადმინისტრაციული შენობები, ასევე დამხმარე სათავსოები, რომლებიც აუცილებელია ადამიანების დასვენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

მრეწველობა

საწარმოების ერთობლიობა, რომელიც აწარმოებს რაიმე პროდუქციას ან უწევს მომსახურებას.



მყინვარები

ტერიტორიები, სადაც წყალი ყინულის სახითაა გავრცელებული.

მყინვარი შეიძლება ოკეანეშიც გაჩნდეს და ხმელეთზეც. მის წარმოსაქმნელად ჰაერის ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბლა უნდა იყოს. მთაში წარმოქმნილ მყინვარებს მთის მყინვარებს უწოდებენ, ხოლო როდესაც ისინი მიწის ზედაპირზე წარმოიქმნება – საფარის მყინვარებს.



ნაკრძალი

ადგილები, სადაც გარკვეულ ტერიტორიაზე ბუნებრივ კომპლექსებს იცავენ.

ნიადაგი

ლიტოსფეროს ზედა, ფხვიერი ნაწილი. შედგება მთის ქანებისა და ნეომომპალასაგან.



ოჯახი

საზოგადოების მცირე, მაგრამ ძირითადი ნაწილი. ოჯახის წევრები ერთმანეთთან სისხლით ნათესაობით ან ქორწინებით არიან დაკავშირებული და ერთად ცხოვრობენ. წევრთა რაოდენობის მიხედვით, არსებობენ დიდი და პატარა ოჯახები.




პირადობის მოწმობა

დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს, რომელი ქვეყნის მოქალაქეა ინდივიდი. მოწმობაში მიეთითება გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, სისხლის ჯგუფი.



რელიეფი

დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობების ერთობლიობა. ფიზიკურ რუკებზე ის მწვანე, ყვითელი და ყავისფერი ტონების სხვადასხვა ელფერით აღინიშნება.



საზოგადოება

ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე და ერთმანეთთან მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კავშირი აქვს დამყარებული.

სახელმწიფო

პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც ეფუძნება გარკვეულ საზღვრებში საზოგადოების მართვას კანონების მეშვეობით.



სოფლის მეურნეობა

ეკონომიკის სექტორი, რომელიც მოსახლეობას კვების პროდუქტებით უზრუნველყოფს და აწარმოებს ნედლეულს მრეწველობის სხვადასხვა დარგისთვის.



ტბა

წყლის აუზი, რომელიც დედამიწის ზედაპირზე არსებულ ბუნებრივ ქვაბულში გროვდება.

ტბა ყოველი მხრიდან მიწითაა შემოსაზღვრული. წარმოშობის პირობების მიხედვით ტბები ერთმანეთისგან განსხვავდება.



ტუგაის ტყეები

ჯუნგლები

მდინარე მტკვრის

ნოტიონიადაგიანი

ნაპირების გაყოფებით,

რომლებიც შედეგება ხეებისა და გაუვალე ჯაგნარისგან.



ფოტოსინთეზი

მცენარის მიერ მზის ენერჯის გამოყენება არაორგანული ნივთიერებებისგან ორგანული ნივთიერებების შესაქმნელად.

ქარი

ჰაერის ჰორიზონტალურ სიბრტყეში გადაადგილება ატმოსფეროს ქვედა ფენებში. ქარები განსხვავდება სიჩქარით, მიმართულებით, წყლის ორთქლის შემცველობით და ტერიტორიის მოცვით.

წრებრუნვა

ბუნებაში უწყვეტად მიმდინარე,

განმეორებადი პროცესი, რომლის

დროსაც ერთი

ნივთიერება


მეორედ გარდაიქმნება.

ბუნებაში მიმდინარეობს მთის

ქანების, წყლის, ჰაერის, ბიოლოგიური

კომპონენტებისა და სხვა

ნივთიერებების წრებრუნვა.



წყლის ორთქლი

წყლის აიროვანი მდგომარეობა. ის ჰაერში ტენის შემცველობაზე მიუთითებს.


ჰიდროსფერო

დედამიწის წყლიანი

გარსი. შედგება


მსოფლიო ოკეანისა და


ხმელეთის წყლებისგან.



მასშტაბი 1 : 2 200 000

აზიზიზიზიზიზი რესპუბლიკა. ფიზიკური რუკა






მასშტაბი 1 : 35 000 000

სსოფლის ფიზიკური რუკა





BURAXILIŞ MƏLUMATI

Ümumi təhsil müəssisələrinin 6-cı sinifləri üçün
coğrafiya fənni üzrə dərslik
(2-ci hissə)
(gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər Famil Ələkbərov
Nərminə Seyfullayeva
Yelena Şabanova

Redaktor

Servet Karabağ – Qazi Universitetinin professoru, coğrafiya elmlər doktoru

Tərcümə Solomon Nosadze
Redaktor Lali Bakradze
Texniki redaktor Zeynal İsayev
Dizayner Nino Quruli
Üz qabığı Taleh Məlikov
Rəssam Elmir Məmmədov
Korrektor Nino Mçedlişvili

Məsləhətçilər

Şərafət Hüseynli – 2 nömrəli texniki-humanitar elmlər liseyinin coğrafiya müəllimi, əməkdar müəllim
Ülviyə Qasımova – coğrafiya üzrə aparıcı məsləhətçi

Rəyçilər

Mirnuh İsmayılov – coğrafiya üzrə fəlsəfə doktoru, dosent
Şəfiqə Hübətova – coğrafiya üzrə fəlsəfə doktoru

© Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi:

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı bir hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

ISBN 978-9952-550-10-8

Hesab-nəşriyyat həcmi: 8,8. Fiziki çap vərəqi: 9,5. Səhifə sayı: 76.
Kəsimdən sonra: 220 × 275. Kağız formatı: 57 × 90 ¹/₈. Şrift və ölçüsü: Corbel, 12pt.
Ofset çapı. Sifariş____. Tiraj: . Pulsuz. Bakı – 2026

Əlyazmanın yığıma verildiyi və çapa imzalandığı tarix:

Çap məhsulunu hazırlayan:
Azərbaycan Respublikasının Təhsil İnstitutu (Bakı ş., A.Cəlilov küç., 96).

Çap məhsulunu istehsal edən:

Pulsuz



Əziz məktəbli !

Bu dərslik sizə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sizə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, siz də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsınız ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşınız ondan sizin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sizə təhsildə uğurlar arzulayırıq!

